

თსუ პაატა ბუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი



საქართველოს ეკონომიკური
და სოციალური განვითარების
ზოგიერთი მიმართულება

(მოსახლეობი. წინადაღები. რეკომენდაციები)

თსუ პაატა ბუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლება
თავისი
2013

UDC (უაგ) 330.34+316.42/43
ს-323

წიგნში შემოთავაზებულია მოსაზრებები, წინადაღებები და რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტუალურ პრობლემებზე.

რედაქტორი – რამაზ აბესაძე

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

ISBN 978-9941-9168-7-8

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგადი ასამაზები

(პროფ. რამაზ აბესაძე)

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეკონომიკის რეფორმირების როულ გზაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმატებები და წარუმატებლობები. ობიექტურ ხელისშემშლელ ფაქტორებთან ერთად შეცდომაც ბევრი იქნა დაშვებული (რეფორმების არასწორი მიმართულებებით წარმართვა და გაჭიანურება, არასწორი პრივატიზება, კერძო საკუთრებების ხელყოფა, ბიზნესის სახელმწიფო რეგულირები, კორუფცია და სხვ.), რის გამოც, რეფორმების დაწყებიდან 20 წლის განმავლობაშიც კი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. სახეზეა დეფორმირებული ეკონომიკა, რაზედაც მეტყველებს ის, რომ დღეისათვის განუვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა (სასაქონლო, საფონდო და შრომის ბირჟები, სადაზღვევო სერვისი, საინვესტიციო ინსტიტუტები, მარკეტინგული, ინჟინერინგული, კოლსანტინგური და საინფორმაციო სამსახურები და სხვ.), არაპროგრესულია, როგორც ეკონომიკური (განუვითარებელია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დაბალია მცირე ბიზნესის განვითარების დონე, ექსპორტს რამდენჯერმე აღემატება იმპორტი და ა.შ.), ისე სოციალური სტრუქტურა (ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, საკმაოდ დიდია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და ა.შ.); მონოპოლიათა არსებობის გამო შეზღუდულია საბაზრო კონკურენცია, რის გამოც საბაზრო ფასზე მაღალია არაერთი დასახელების პროდუქტის ფასი;

მომავალში აუცილებელია რეფორმების გაგრძელება, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია ის ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია განვითარებული (შერეული) საბაზო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად და იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი:

1. როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს, სინერგიული ეფექტი მიიღწევა მაშინ, როდესაც ეკონომიკაში დომინირებს კერძო საკუთრება, ადგილი აქვს სამეწარმეო თავისუფლებას, კონკურენციას, ჯანსაღ ფინანსურ ურთიერთობებს, ბიუჯეტის დაბალანსებულობას, გადასახადების ოპტიმალურ სიდიდეს და ა.შ. ამ პროცესების ნორმალიზაციაში კი უდიდესი როლი სახელმწიფოს ეკუთვნის. სწორედ მისმა სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ზემოთ ხსენებული პირობების დამყარება ეკონომიკაში, მოახდინოს პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა. ამისათვის აუცილებელია:

ა) ბიზნესის გათავისუფლება სახელმწიფო ზეწოლისაგან;

ბ) ბიზნესის, როგორც ერთ-ერთი პრესტიული საქმიანობის, ყოველმხრივი რეკლამირება. ბიზნესის გადაქცევა საშიში საქმიანობის სფეროდან, შემოქმედებით, საზოგადოებრივ კიბეზე ყველაზე სწრაფი წინსვლის სფეროდ;

გ) კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა;

დ) კანონიერი სიმდიდრის მოპოვებისა და ინვესტიციების გაწევის ყოველმხრივი წახალისება.

ამ მთავარ, გენერალურ ხაზთან ერთად ასევე აუცილებელია ეროვნული წარმოების ხელისშემწყობი პოლიტიკის განხორციელება, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით. ამ პოლიტიკის მიზანი იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ პროდუქციის ყველა სახეობების მიხედვით მივაღწიოთ თვითუზრუნველყოფას საკუთარი პოტენციალის ხარჯზე, არამედ შევქმნათ გრძელვადიანი პერსპექტივების შესაბამისი ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო სტრუქტურული საფუძვლები, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ეკონომიკის ახალი, პერსპექტივული სფეროებისა და წარმოების ახალი სახეობების ათვისებას და მათ მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის დაჩქარებას.

2. სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირების მიზნით ქვეყანაში უნდა არსებობდეს შესაბამისი მაკროეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ორიენტირებული იქნება უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირებაზე. იგი უნდა მოიცავდეს შესაბამის იურიდიულ ბაზას, რეგულირების ინსტრუმენტებს, ინდიკატორთა სისტემას, რეგულირების დონისძიებათა სისტემას, შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს. უმუშევრობის დონის შემცირებისათვის აუცილებელია შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა. დღეისათვის შრომის ბაზარი საქართველოში უკიდურესად სტიქიურია: არ არსებობს მოქმედი დასაქმების სახელმწიფო სამსახური და მთელი ინფრასტრუქტურა, რომელიც მათ ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არათუ რეგულირების განხორციელება, არამედ,

უბრალოდ უმუშევრობის რეალური სურათის დახატვა. აუცილებელია შეიქმნას დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახური, რომელიც შეასრულებს შრომის ბირჟის როლს. მის მოვალეობაში უნდა შედიოდეს: თავისუფალი სამუშაო ადგილების (გაკანსიების) და უმუშევართა (პასიურ (მუშაობის არმსურველ) და აქტიურ (მუშაობის მსურველ) უმუშევართა) აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეფასება და საორგანიზაციის მომზადება; საქართველოში შრომით ემიგრანტთა და იმიგრანტთა აღრიცხვა და შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და სხვ. სასურველია, შეიქმნას დასაქმების ფონდი, რომლის შემოსავლების წყარო იქნება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები, სავალდებულო გადასახდელები ბიზნესიდან და ნებაყოფილობითი შენატანები. ფონდი დააფინანსებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს დასაქმების სფეროში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას უმუშევრობის დონის შემცირებისა წარმოადგენს საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების ორგანიზება, რისთვისაც სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ბიუჯეტის სახსრები, უცხოური კრედიტები და დახმარებები.

უმუშევრობის შემცირების მიზნით უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომელიც უმუშევრობის შემცირებას გამოიწვევს არა ინფლაციის ზრდის, არამედ ფასების სტაბილურობის პირობებში. უპირატესობა უნდა მიენიჭოს

ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკას გადააა-
დგილებს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ, რომელიც
გამოიწვევს თვით ფილიპსის მრუდის გადაადგილებებს
ისეთ წერტილებში, სადაც უმუშევრობის დონე კლებუ-
ლობს, ხოლო ფასების საერთო დონე უცვლელია ან
უმნიშვნელოდ მატულობს. ეს მიიღწევა ისეთი ინოვაციუ-
რი პროგრამების სტიმულირებით (უმუშევრობის შემცირე-
ბისაკენ მიმართული ინოვაციური პოლიტიკა), რომელიც
უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლი-
ვი მიწოდების დაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდას.
სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის მოცულობის
ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს, ხოლო ხელფა-
სების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდეს შრომის მწარმო-
ებლურობის ზრდის ტემპებს, სანამ უმუშევრობის რეა-
ლური დონე არ გაუტოლდება მის ბუნებრივ დონეს. ეს
მიიღწევა მატერიალური წარმოებისა და მომსახურების
არსებული დარგების გაფართოებით და მათი ახალი სფე-
როების ათვისებით.

სიდარიბის შემსუბუქების მიზნით სახელმწიფოს
შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა სახის დახმარება:
დახმარებები უმუშევრებზე, დახმარება სამუშაოს საპოვ-
ნელად, უმუშევართა გადამზადება, საზოგადოებრივი სა-
მუშაოების ორგანიზება, მოხუცებულობის დაზღვევის
პროგრამები, საოჯახო დახმარებები, სტიპენდიები, ფუ-
ლადი ტრანსფერები, ჯანდაცვის პროგრამები და მრა-
ვალი სხვა.

3. ვინაიდან საქართველოში ადგილი აქვს უმუშევ-
რობის მაღალ დონეს და მოსალოდნელია შრომითი
ემიგრანტების უკან დაბრუნება, ინოვაციების განხორციე-

ლების პირობებში, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ უსწრებდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. მაშასადამე, აუცილებელია ეკონომიკის ოვისებრივ სრულყოფასთან ერთად ეკონომიკის მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა, რისთვისაც საჭიროა ახალი დიდი მოცულობის დაბანდებების განხორციელება. ეს კი შესაძლებელია როგორც შიგა, ისე გარე ინვესტიციების მოზიდვის ხარჯზე. შიგა ინვესტიციების შეზღუდულობის გამო კვლავ დიდი უურადღება უნდა მიექცეს უცხოურ ინვესტიციებს. ამასთან, უცხოური კრედიტების გამოყენებაზე უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი და ის მიმართული უნდა იქნეს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისაკენ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას უნდა მოითხოვებოდეს ადგილობრივი მუშახელის დასაქმება, რისთვისაც უნდა განხორციელდეს მათი წინასწარი გადამზადება.

4. ადგილობრივი ინვესტიციების მობილიზაციისათვის აუცილებელია ადგილობრივ ბიზნესმენებზე სახელმწიფო მოხელეთა ყოველგვარი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა და კორუფციის აღმოფხვრა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო ძლიერდება სახელმწიფოს მხრიდან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მით უფრო იზრდება კორუფციული შესაძლებლობების პოტენციალი, ე. ი. კორუფციის აღმოფხვრის გზაზე კორუფციის წინააღმდეგ გაწეული დანახარჯების სიდიდე თანდათან იზრდება და არ მცირდება. ეკონომიკური თვალსაზრისით კორუფციის აღმოსაფხვრელად დანახარჯების გაღება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ კორუფციის აღმოფხვრის ეკონომიკური შედეგები მეტი იქნება დანახარჯებზე, ე. ი.

ეკონომიკური თვალსაზრისით კორუფციის ოპტიმალური დონე მიიღება მაშინ, როდესაც კორუფციის აღმოსავა-
გრელად გაწეული დანახარჯები გაუტოლდება მიღებულ
შედეგს, ვინაიდან ამის შემდეგ დანახარჯები გადააჭა-
რბებს შედეგს. კორუფციის შემცირების მაკროეკონო-
მიკური ხასიათის ღონისძიებებიდან უმთავრესია ისეთი
მაკრო- და მიკროეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომე-
ლიც აღმოფხვრის კორუფციის წარმომშობ მიზეზებს,
უპირველეს ყოვლისა, გააუმჯობესებს არსებულ ინსტი-
ტუციებს. გარდა ამისა, შეიძლება გამოვყოთ კორუფციის
წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი ძირითადი მეთოდები: კა-
ნონებისა და მათი შესრულების გამკაცრება, რასაც შე-
დეგად მოჰყვება კორუფციაზე წასვლის რისკის გამარ-
ლება; საბაზო ძალების გაძლიერება; ჩინოვნიკთა ხელ-
ფასების გაზრდა (მართალია, სახელმწიფო მოხელეთა
ხელფასის ზრდამ შეიძლება ვერ გამოიწვიოს კორუფციის
ღონის პირდაპირპროპორციული შემცირება, მაგრამ ისიც
ბუნებრივია, რომ მატერიალურად უფრო მეტად უზრუნ-
ველყოფილი ადამიანი ნაკლებად წავა რისკზე. ამაზე
მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ყველაზე და-
ბალი კორუფციის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო მო-
ხელეთა ხელფასი 2-3-ჯერ მეტია კერძო სექტორში არ-
სებულ ხელფასზე); ფინანსური კონტროლი (აუდიტი);
დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება და სხვა;

5. მიუხედავად საბანკო სექტორის წარმატებებისა, ნაკლოვანებები ამ სფეროში მეტად მნიშვნელოვანია. ჯერ
ერთი, საპროცენტო განაკვეთი მაღალია და, მეორე, რაც
ყველაზე მნიშვნელოვანია, საბანკო კრედიტები ძირითა-
დად იპოთეკური და სამომხმარებლო ხასიათისაა. ბანკები

ამით ამცირებენ რისკებს გარანტირებული მოგების მიზნით და ამიტომ მათი მოქმედება ბუნებრივია, მაგრამ ეკონომიკის რეალური სექტორი ამით ზარალდება და განუვითარებელი რჩება. საჭიროა, სახელმწიფო ბანკებთან ერთად განახორციელოს მსხვილი პროექტები მატერიალური წარმოების სფეროში, რის შედეგადაც, ბანკებისათვის რისკების შემცირების პირობებში, კრედიტები მოხმარდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის ზრდას, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირებას;

6. საგადასახადო სფეროში აუცილებელია საგადასახადო კოდექსის დახვეწა ისე, რომ ის არ იძლეოდეს ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას (განსაკუთრებით ჯარიმების დაწესების დროს) და ორიენტირებული იყოს ეკონომიკურ ზრდაზე;

7. უდიდესი რეზერვი სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირებისა და საერთოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა არის მცირე ბიზნესი. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების დონე დაბალია, მისი განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა. საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის განვითარებული ინფრასტრუქტურა. საქართველოში კი მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება თითქმის არ ხდება და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას მისი მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა (იხ. ქვემოთ);

8. გაწონასწორებული სავაჭრო ბალანსის დასამყარებლად საჭიროა ქმედის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რისთვისაც აუცილებელია: მთავრობის არაეკონომიკური ქცევების აღმოფხვრა; საკუთრების ხელშეუხებლობის მოთხოვნის დაცვა; ანტიმონოპოლიური სამსახურის რეალურად ამოქმედება და რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება და გაძლიერება. სახელმწიფომ მის ხელო არსებული ყველა ინსტრუმენტის (მათ შორის პრეფერენციების შემოღებით) გამოყენებით უნდა წაახალისოს საექსპორტო და იმპორტშემცვლელი წარმოება. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პროგრამების განხორციელება;

9. რეფორმები მეცნიერებისა და განათლების სფეროში უნდა დავიწყოთ დღეისათვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და თანდათან დავძლიოთ ნაკლოვანებები და ისე მივაღწიოთ მსოფლიო დონეს. ამ სფეროში აუცილებელია ქვეყნის ისტორიული, კულტურული და სხვა ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა, უნდა გადავარჩინოთ ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ქვეყანაში;

10. მთავრობის ზოგიერთმა ქმედებამ განაპირობა უმუშევრობის დონის ზრდა, კერძოდ, საბიუჯეტო დაწესებულებებიდან არასაპენსიო, მაგრამ შედარებით დიდი ასაკის მქონე პირების დათხოვნა (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ეს პროცესი შეწყდა). ბუნებრივია, ასეთი პრაქტიკა უნდა ადიკვეთოს, ვინაიდან იგი ზრდის უმუშევრობის დონეს და იკარგება დიდი გამოც-

დილებისა და მაღალი კვალიფიკაციის ადამიანთა პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. გარდა ამისა, უნდა აღიკვეთოს ადამიანთა დიფერენციაცია პარტიული კუთვნილებისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით. სამსახურში მოწყობა ან დაწინაურება უნდა მოხდეს მხოლოდ კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით. აღსაკვეთია ასევე ხელფასების დისკრიმინაციული ხასიათი. ეკონომიკური თვალსაზრისით მიუღებელია უფრო დიდი განათლების მქონე პირს პქონდეს უფრო დაბალი ან თუნდაც ტოლი ანაზღაურება (არადა საქართველოში მრავალი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება). ასეთ ვითარებას მინიმუმამდე დაყავს განათლებაში ინვესტიციების ეფექტიანობა. ჩვენთან უმაღლეს განათლებას დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დიპლომისათვის ამთავრებს, რაც მათ შრომით დასაქმებას სპეციალობის მიხედვით ძლიერ აძნელებს;

11. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ჟურადება უნდა მიექცეს მაღალი ტექნოლოგიების (*hi-tech*) გამოყენებას, რაც კარდინალურ ცვლილებებს იწვევს ეკონომიკაში, ცვლის რა მისი განვითარების ტენდენციებს როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში, ზრდის რა ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და კეთილდღეობის დონეს. მათ საფუძველზე, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა შექმნის შედეგად, მცირდება ტრანსაქციური და ტრანსფორმაციული დანახარჯები, იზრდება რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები, იცვლება წარმოების მდგრადი განვითარების მარტივობა.

ბის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ადგილი და როლი როგორც წარმოებაში, ისე ყოფაცხოვრებაში. უმაღლესი ტექნოლოგიების დარგებიდან გამოიყოფა ელექტრონიკა (განსაკუთრებით კი მისი ქვედარგი – მიკროელექტრონიკა); ხელოვნური ინტელექტი (ისეთი მანქანების შექმნა, რომელსაც გააჩნია ცოცხალი ორგანიზმის (მათ შორის ადამიანის) ნიშნები – მსჯელობა, აღქმა, მოძრაობა და ა. შ.); ბიოტექნოლოგია (რომელიც თავისთავად ეფუძნება გენეტიკას, მიკრობიოლოგიას, მოლეკულურ და უჯრედულ ბიოლოგიას, ბიოქიმიას, ემბრიოლოგიას და ა. შ.); კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა; ნანოტექნოლოგიები; რობოტოტექნიკა; ტელეკომუნიკაციები; ფოტონიკა; ატომური ფიზიკა და სხვ. ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, მაღალი ტექნოლოგიების (გარედან შემოტანილი) დანერგვა, თუმცა ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს. უფრო მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია საკუთარ ბაზაზე ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის ახალი ს ხეობების შექმნის სფეროში. გარკვეული ძვრები შეინიშნება ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიათა გამოყენების მიმართულებით: მიმდინარეობს ტელესაკომუნიკაციო და კორპორაციული ინფორმაციული სისტემების განვითარება, იზრდება მსოფლიო დია ქსელების აბონენტთა რაოდენობა, ძლიერდება ქვეყნის ტელეფონიზაცია, სწრაფად იზრდება მობილური ტელეფონების მოხმარება და სხვ. ინფორმატიზაციის დონე განსაკუთრებით დიდია სახელმწიფო და საბანკო სექტორში. ვი-

თარდება ქსელური მარკეტინგი და ა.შ. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონე დაბალია და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. ჩვენ, ბუნებრივია, არ დაგვჭირდება ის დრო, რაც განვითარებულ ქვეყნებს დასჭირდა ინფორმატიზაციის მაღალი ღონის მისაღწევად, ვინაიდან შეგვიძლია პირდაპირ გადმოვიდოთ მსოფლიო გამოცდილება. მაგრამ, ამავე დროს, ახალი ტექნოლოგიების გადმოდება ადგევატური ბაზისის არსებობის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, მოზიდულ იქნეს ინვესტიციები, ჩამოყალიბდეს შესაბამისი ბიზნეს-კულტურა (ცოდნა, აზოვნების ხასიათი, მენტალიტეტი, გამოცდილება) და ა.შ. ამ მიმართულებით საქართველოს აქეს გარკვეული უპირატესობები – ჩვენი ქვეყნის მასშტაბები პატარაა (მისი გაჯერება მაღალი ტექნოლოგიებით შედარებით მცირე დროშია შესაძლებელი) და მას დიდ დახმარებას უწევენ განვითარებული ქვეყნები;

12. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ერთი მხრივ, (წარმოადგენს რა იგი მსოფლიო სატრანზიტო დერეფანს), იძლევა განვითარების დიდ შესაძლებლობებს, მეორე მხრივ, (ხვდება რა დიდი სახელმწიფოების ინტერესთა სფეროში, მუდმივი დაბაბულობის გამო) წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორს. ამ ვითარებას შეესაბამება დღევანდელი მდგომარეობა. საქართველოზე გადის საერთაშორისო სატრანზიტო მარშრუტები, დებულობს დიდი რაოდენობის საერთაშორისო დახმარებებს, მაგრამ, ამავე დროს, უხდება ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის. ათასობით ლტოლვილთა არსებობა, რუსე-

თის ბაზრის დაკარგვა, ბუნებრივია, დიდ ნებატიურ გავლენას ახდენს ეკონომიაზე და ზრდის უმუშევრობის დონეს. რესეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა საქართველოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს;

13. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები პრობლემა საქართველოში თანამედროვე ეტაპზე არის სოფლის პრობლემა, რის უგულებელყოფამაც წლების განმავლობაში სოფელი სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. არადა, სოფელი უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის სიძლიერის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. ამ პრობლემის გადაწყვეტისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ზოგადი ხასიათის მიღობები:

ა) სოფლის პრობლემები ხშირად გაიგივებულია სოფლის მეურნეობასთან. რეალურად სოფელი ეკონომიკის თვალსაზრისით მოიცავს ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს და აქ სასოფლო წარმოების გარდა შეიძლება ფუნქციონირებდეს: სატყეო მეურნეობა; მონადირეობა; მეთევზეობა; სასოფლო პროდუქციის გადამუშავებელი წარმოება; მომპოვებელი და გადამუშავებელი (არა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის) მრეწველობა (როგორც წესი, შედარებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებით); სოფლის ინფრასტრუქტურა; კულტურული (კინოთეატრები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები), რეკრეაციული (ტურიზმი და ექსკურსია, დასასვენებელი სახლები, პლაჟები, პარკები და სხვ.), სავაჭრო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და მომსახურების სხვა დარგები. ასევე შეიძლება ხორციელდებოდეს ბუნებისდაცვითი და საკომუნიკაციო საქმიანობა

და სხვ. მაშასადამე, საქმე გვაქვს სოფლის ეპონომიკასთან და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან, რომელთანაც ძალიან ხშირად ასოცირდება იგი;

ბ) ხშირად სოფლის განვითარებაზე საუბრობენ ისე, რომ მხედველობაში არ იღებენ მთელი ეკონომიკის, განსაკუთრებით მრეწველობის განვითარების დონეს. ისტორია გვიჩვენებს, რომ ათასწლეულების განმავლობაში სწორედ სოფელი წარმოადგენდა ადამიანთა დასახლებისა და ეკონომიკური საქმიანობის ადგილს. მაგრამ, იმავე ათასწლეულების განმავლობაში მწარმოებლურობა, მანამ, სანამ მრეწველობის ჩასახვა და განვითარება არ მოხდა, სოფლად თითქმის მუდმივი და დაბალი იყო, გამოიყენებოდა შრომის უმარტივესი იარაღები (თოხი, ბარი, ნაჯახი, ცელი) და მეურნეობას ძირითადად ნატურალური ხასიათი ჰქონდა, ეკონომიკური ურთიერთობებიც არქაული ხასიათის რჩებოდა. სწორედ მრეწველობის განვითარებამ შეუწყო ხელი ეკონომიკის სხვა დარგების (მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მომსახურება და სხვ), მათ შორის, აგრარული დარგების, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებას. დღესაც სწორედ მრეწველობაა ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ძირითადი საფუძველი, ხოლო ეკონომიკის ყველა დარგი ერთად აღებული სოფლის განვითარების (იგულისხმება სოფლის ეკონომიკა და აქ მცხოვრებთა კეთილდღეობის ამაღლება) საფუძველი. ამდენად, თუ ქვეყანას მრეწველობა არ აქვს განვითარებული, იგი ეკონომიკის სხვა დარგებს, მათ შორის, სოფლის ეკონომიკასაც ვერ განვითარებს;

გ) მნიშვნელოვანია საკითხის გარკვევა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა სასოფლო დარგების განვითარებისადმი.

აგრარული წარმოებისა და ცხოვრების დაბალი დონის მქონე პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის სოფლისადმი დახმარების აუცილებლობას განაპირობებს:

1. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხანგრძლივი წინა პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ნაკლები ყურადღება ექცეოდა (საპირისპიროდ მრეწველობისა და სხვა დარგებისა). კოლექტივიზაციამ ვერ შექმნა პირობები აგრარული სექტორის განვითარებისათვის. მექანიზაციის დონე ძლიერ დაბალი რჩებოდა, ხოლო ეკონომიკური სტიმული კოლმეურნეობებში ნულის ტოლი იყო და აქ თითქმის იძულებითი შრომა გამოიყენებოდა. ასევე ძლიერ განუვითარებელი იყო სოფლის ინფრასტრუქტურა (თუმცა სახელმწიფო ამ მიმართულებით არაერთ ღონისძიებას ახორციელებდა). ქალაქება და სოფელს შორის უფსკრული თანდათან დრმავდებოდა და სოფლად მოსახლეობის შენარჩუნება მკაცრი საპასპორტო რევიმის არსებობით ხერხდებოდა;

2. საბაზო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმების შედეგად, მოისპო ის პოტენციალიც, რომელიც არსებობდა საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში. მათი თანდათანობითი გარდაქმნა ფერმებად შესაძლებელი იყო;

3. მიწების პრივატიზაციამ დადებით შედეგებთან ერთად გამოიწვია მათი დაქუცმაცება. მცირე მიწაზე, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაშიც კი,

სასაქონდო სასოფლო პროდუქციის წარმოება შეუძლებელია და ოჯახის შემოსავალი ვერ იქნება ტოლი ქალაქში ანალოგიური ოჯახის შემოსავლებისა;

4. საბოლოოდ, დღეისათვის მივიღეთ ნახევრად ნატურალური (საქართველოში ფერმათა 90% ნატურალურია), დაბალმექანიზებული (ძირითადი იარაღი კვლავ თოხი, ბარი და ნაჯახია) და ამიტომ დაბალმწარმოებლური, განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მქონე სოფლი. ამდენად, მართალია მიწების პრივატიზაციის შედეგად სტიმულები კი გაიზარდა, მაგრამ უაღრესად მძიმე პირობების გამო სოფლად მცხოვრებს არ შეუძლია ყველა სიძნელეების გადალახვა და განვითარებული სასოფლო წარმოების ჩამოყალიბება;

5. საზღვარგარეთიდან შემოიტანება იაფი (ხშირ შემთხვევაში უხარისხო) სასოფლო პროდუქცია, რაც ანადგურებს ადგილობრივ ბაზრებს;

6. სოფლის მეურნეობის სფერო კაპიტალის მოზიდვისადმი, მისი გარემო პირობებზე ძლიერი დამოკიდებულების გამო (წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა და ა. შ.) სარისკოა. ამიტომაა, რომ ბანკები ძირითადად მშენებლობასა და ვაჭრობის სფეროს აფინანსებენ. ასევე, სოფლად სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობის გამო, ნაკლებადაა დაინტერესებული კერძო ბიზნესი;

7. დამატებით დანახარჯებს საჭიროებს ნიადაგის შენარჩუნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით გამოყენებისათვის, რაც კიდევ უფრო ართულებს ფერმერის (გლეხის) მდგომარეობას;

8. მსოფლიოში სავარგულების შემცირებისა და მარცვლეულის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენება

არა მარტო აძვირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, არამედ გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხის წინაშე აყენებს კაცობრიობას. ასეთ პირობებში ეროვნული სასოფლო წარმოების განვითარება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია;

დ) სასოფლო პროდუქცია განსაკუთრებულია, ვინაიდან ქვეყანამ შეიძლება გაუძლოს ნებისმიერ სიმნელეს, მაგრამ არა შიმშილს და რომ დღევანდველ პირობებში სოფელი საჭიროებს საეციფიკურ მიდგომას, ვინაიდან იგი აღმოჩნდა კომპლექსური სიმნელების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა თავად არ შეუძლია და საჭიროა მისი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ის მოვალეობები, რომელიც მას საერთოდ აკისრია არა მხოლოდ სხვა დარგებისადმი და ქალაქისადმი, არამედ სოფლის ეკონომიკისა და სოფლისადმიც, რასაც, ჩვენს ქვეყანაში, დღემდე სრულყოფილად არ ასრულებდა და რამაც სოფელი თითქმის კატასტროფამდე მიიყვანა. დღეისათვის კი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა ზოგიერთი დამატებითი ფუნქციების შესრულებაც. მართალია, კონკურენციის არსებობა საბაზრო მექანიზმის ერთ-ერთი უძირითადესი ელემენტია. მაგრამ, ხშირად დგება მომენტი (საბაზრო ჩავარდნების გამო), როდესაც ურთიერთდახმარებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან. ამისათვის სოფლისადმი მხარდაჭერი ლონისმიერების გატარებით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: ისეთი ინსტიტუციური ცვლილებები, რომელიც წაახალისებს მიწის ნაკვეთების ზრდას (მიწების გაყიდვის ან იჯარის სტიმულირების გზით); სოფლად ინფრასტრუქტურის (სახელ-

მწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის სააგტომობილო გზები და საფარგულებთან მისასვლელი გზები, საირო-გაციო-სადრენაჟო და მდინარეთა ნაპირ-სამაგრი სისტემა, წყლით, ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით სტაბილური მომარაგება) გაუმჯობესება; მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის თანდათან ამაღლება; სასუქებით, პესტიციდებითა და ქიმიკატებით მომარაგება; სათესლე და სანერგე მეურნეობების, ჯიშთა გამოცდისა და განახლების სისტემების აღდგენა და განახლება; ჯანდაცვის, განათლების, კულტურის დონის ამაღლება; ახალი ტექნოლოგიების (მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ბიოლოგია) დანერგვა, იაფფასიანი კრედიტების, საზღვარგარეთიდან დახმარებების მიღებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, უშუალო სუბსიდირების გზით; პროდუქციის რეალიზაციის მხარდაჭერა, ტექნიკური, ზომიერი პროგრესიონისტული პოლიტიკისა და ანტიდემპინგური დონისძიებების გატარების მეშვეობით, ექსპორტის წახალისებით, სადაზღვეო სისტემის შექმნით; სასოფლო ადგილებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკონომიკის სხვა დარგების საწარმოთა (სოფლის პროდუქტების გადამმუშავებელი, საკონსერვო და ტურისტული საწარმოები, სასაწყობო მეურნეობები, მეფრინველეობის ფაბრიკები, ფერმები, ყველის მინი-ქარხნები, ღვინის ქარხნები, სახერხები, მაღაზიები, ავტოსერვისი, მშენებლობა, საშენ მასალათა, ფქვილისა და პურ-ფუნთუშეულის, ძეხვის წარმოება და ა.შ.) შექმნა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო რეზერვების შექმნა; ხარისხიანი სათესლე-სანერგე მასალების შეძენა; ექსტენციის სისტემების შექმნა; სოფლის მომსახურე ბაზის (ტრაქტო

რების და სხვა სასოფლო დანიშნულების მანქანების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ა. შ.) ფორმირება და განვითარება; ფასის მნიშვნელოვნად შემცირება შეაძლიმიკატებზე, პესტიციდებზე და საწვავზე; შედაგათიანი სესხის პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ვეტერინარული და აგრონომიული სამსახურების შექმნა; სურსათის ხარისხის კონტროლის შემოღება; წარმოების კოოპერაციული ფორმების განვითარება, მეთევზეობის, მონადირეობისა და სატყეო მეურნეობის განვითარება და სხვა;

ე) სოფლის სტრუქტურაში ჩადებულ ყოველ ლარს აქვს გრძელვადიანი ეფექტი და იგი ათმაგად ანაზღაურდება აგროწარმოების განვითარების შედეგად.

ეს დონისძიებები არათუ უნდა ასუსტებდნენ ფერმერის სტიმულებს, არამედ უნდა აძლიერებდნენ მას. ბუნებრივია, მთავარი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს იმაზე, რომ ფერმერი ზრდიდეს წარმოებას, ნერგავდეს ახალ ტექნოლოგიებს, რათა რაც შეიძლება მალე გარდაიქმნას თანამედროვე სასაქონლო ფერმად. რასაკვირველია, საზღვარგარეთ ასეთი მდგომარეობის მიღწევას ათწლეულები დაჭირდა, მაგრამ ჩვენ გვაქვს უპირატესობა, რომ პირდაპირ, მზამზარეულად გამოვიყენოთ ის მიღწევები, რაც უკვე განვითარებულ ქვეყნებში არსებობს. საქართველოსათვის ეს კიდევ უფრო იოლია, ვინაიდან ის პატარა ქვეყანაა და დასავლეთი მას დიდ დახმარებებს უწევს. საჭიროა, აგრეთვე, ადგილობრივი ბიზნესის დაინტერესება. ეროვნულ კომპანიებს შეუძლიათ შეიძინონ ფერმები და დააბანდონ ინვესტიციები.

14. მართალია, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში დაიწყო დადებითი ცვლილებები, მაგრამ იგი ჯერჯერობით მაინც ვერ პასუხობს მაღალ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ იგრძნობა გამოდევნება დიპლომებისათვის და არა ცოდნისათვის.

ეს პირდაპირი შედეგია საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების დროს დაშვებული შეცდომებისა და მათი გაჭიანურებისა.

განათლების ეკონომიკის პოზიციებიდან გამომდინარე, გასათვალიწინებელია:

ა) განათლების დონე და მისი ორგანიზაციის სირთულე იცვლება ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად. მეცნიერება-გამოგონება-ინოვაციის წარმოების ჯაჭვში განათლების პროცესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან თითოეულ ამ რგოლს მაღალგანვითარებული მუშაკები (მეცნიერები, გამომგონებლები, მეწარმეები) ესაჭოროება. ეკონომიკის მაღალი ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დღეისათვის საკმაოდ რთული განათლების სისტემა ჩამოყალიბდა. ამასთან, უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, მისი მხოლოდ საბაზრო ძალებისადმი მინდობა დაუშვებელია. აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის სახელმწიფო ორგანიზაცია, ბუნებრივია, საბაზრო ურთიერთობათა გამოყენებით.

ბ) განათლების საკითხებისადმი ზერელე მიღგომამ შესაძლებელია გაგვაკეთებინოს მცდარი დასკვნა, რომ თითქოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორი განათლების რაოდენობრივი ზრდაა, რაც უფრო მეტი იქნება უმაღლესდამთავრებულთა რიცხვი, მით უფრო

დაჩქარდება ეკონომიკური განვითარების პროცესი. თავის დროზე განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება მთელი მოსახლეობის განათლების დონის ამაღლების შესახებ. ამ პროგრამაზე მიღიარდობით დოლარი დაიხარჯა, მაგრამ ათეული წლების გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას შესაბამისი შედეგი არ მოჰყოლია. აზის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. აუცილებელია სწორედ იმის განსაზღვრა, თუ რა რაოდენობის სახსრები უნდა გამოჰყოს ქვეყანამ განათლებისათვის და რამდენად ეფექტურიანად იხარჯება იგი შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. ადამიანისეული კაპიტალის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი უნდა იყოს შრომის ანაზღაურება. უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაქს მეტი შემოსავალი უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ირდვევა განათლების ეკონომიკური არსი;

გ) საზოგადოებრივი და კერძო დანახარჯები განათლებაზე არ შეიძლება გაიზომოს მისგან პირდაპირ მიღებული შედეგის მიხედვით. იგი არის ხანგრძლივოქმედი საინვესტიციო რესურსი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ხალხის მასას მიიღოს სარგებლობა. ერთი ინდუსტრიული გენიის ეკონომიკური ღირებულება საკმარისია იმისათვის, რომ დაიფაროს მთელი ქალაქის ხარჯები განათლებაზე. უმაღლეს განათლებაზე წლების განმავლობაში გაწეული დანახარჯები კარგად იქნება ანაზღაურებული მაშინ, როდესაც გამოვლინდება კიდევ ერთი დიდი მეცნიერი, მწერალი და ა. შ.;

დ) განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა მაქსიმალურად შეუსაბამოს სპეციალობები და პროგრამები ეკონომიკის არსებულ და პერსპექტიულ მოთხოვნებს. ეს კი დაკავშირებულია მიმდინარე და სტრატეგიული დაგეგმვის კარგ ორგანიზაციასთან. მაშასადამე, თანამედროვე განათლების პროცესი მეტად დინამიკურია ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

15. რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრისას უნდა გამოვდიოდეთ იქედან, რომ გაიზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები. დიდ დაფიქრებას საჭიროებს შენარჩუნებული იქნეს სამხარეო რგოლი. ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე ეს არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით საჭირო არ არის.

16. ენერგეტიკის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, მთავარი ქურადღება გამახვილებული უნდა იქნეს ქვეყნის მდიდარი ჰიდრო და არაგრადიციული ენერგორესურსების ათვისებაზე. არაგითარ შემთხვევაში ხელადებით არ უნდა ვთქვათ უარი მსხვილი ელექტროსადგურების აშენებაზე, რასაკვირველია, შესაბამისი ეკოლოგიური დასაბუთების საფუძველზე. ამ საკითხების გადაჭრის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ გარკვეულ ეკოლოგიურ დათმობაზე წასვლა აუცილებლად მოგვიწევს, რომ გათვლები უნდა ვაწარმოოთ არა მოკლე და გრძელვადიანი პერიოდის, არამედ შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით, ვინაიდან ეკონომიკა სწრაფად ვითარდება და სათბობი ენერგიის მარაგები კი მსოფლიოში თანდათან იწურება. ელექტროენერგიის დეფიციტი უფრო მეტ ეკოლოგიურ (რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ პრობლემებზე) პრობლემებს (ტყის გაჩეხვა, ანგისანიგარის ზრდა და სხვა) წარმოშობს, ვიდრე გარკვეული ეკოლოგიური დათმობები, გამოწვეული მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების

მშენებლობით. რასაკვირველია, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნულ ფასეულობათა მტკიცნეული პრობლემები.

17. თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება (საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინტერნეტი, თანამგზავრული ტელევიზია, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები და ა. შ.) ხელს უწყობს დედამიწის ერთიან გლობალურ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი; თავბრუდამხვევი ტემპებით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დომინირებს არა საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ორგანიზება უშუალოდ საზღვარგარეთ; ხორციელდება მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირება და მათი არნახული დივერსიფიკაცია; ძლიერდება უნიფიკაციის ტენდენცია ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში; ხორციელდება მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელის დივერსიფიკაცია; ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციონალურ გაფორმებას. მათი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად ხდება იურიდიულად აუცილებელი ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოებისათვის; გლობალიზაცია შეიქრა შიგასახელმწიფოებრივ სფეროშიც და თანდათან ხდება შიგა ცხოვრების ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობებს; ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არა აქვთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ

კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან; სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ებმება გლობალიზაციის პროცესებში, ყალიბდება გლობალური ცივილზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ.

გლობალიზაციას ობიექტურთან ერთად აქვს სუბიექტური ხასიათიც. ამიტომ მისი წარმართვა შესაძლებელია როგორც დადგებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით.

გლობალიზაციის დადგებითი მხარეებიდან უნდა გამოიყოს:

1. იგი მნიშვნელოვნად განაგებს საბაზრო მექანიზმებს დამყარებული ეკონომიკური და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, აიძულებს ცალკეული ქვეყნების მთავრობებს აღმოფხვრან ვოლუნტარიზმი და კორუფცია, ჩამოაყალიბონ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა.

2. გლობალიზაციის პირობებში ახალი ტექნოლოგიები ვრცელდება ისევე სწრაფად, როგორც კაპიტალი.

3. იგი განაპირობებს მსოფლიო რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას.

4. მსოფლიო არენაზე უმსხვილესი კორპორაციების ფუნქციონირება შესაძლებელს ხდის მასშტაბის ეკონომიკის მაქსიმალური ნიშნულის მიღწევას.

5. გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გაძლიერება და ერთობლივი ძალებით უმსხვილესი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხორციელება კიდევ უფრო აჩქარებს ტექნოლოგიის სრულყოფას და ინოვაციების გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით, რაც, უპირველეს ყოვლისა, სასარგებლოა მომხმარებლებისათვის.

6. იგი შესაძლებელს ხდის გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები გადაჭრას მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევის გაერთიანების შედეგად, რესურსების მობილიზაციისა და მოქმედებათა კოორდინაციის საფუძველზე და სხვ.

გლობალიზაციის უარყოფითი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს:

1. დღეისათვის გლობალიზაციის პირობებში თანდათან იზრდება განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის მიხედვით. გლობალიზაციის პირობებში განსხვავება უნდა მცირდებოდეს და რაც შეიძლება სწრაფად. სხვა შემთხვევაში ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გლობალიზაციის გზაზე.

2. იგი ხელს უწყობს ერთ რომელიმე რეგიონში წარმოშობილი ნებატიური პროცესების (მათ შორის კრიზისების) გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით.

3. წინააღმდეგობა გლობალიზაციასა და ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტს შორის.

4. გლობალიზაციამ შეასუსტა რა ეროვნულ სახელმწიფოებში ეკონომიკურ რეგულირების სფერო, ამასთან, ვერ ჩამოყალიბდა მისი შემცვლელი საერთაშორისო რეგულირების ქმედითი ორგანოები.

5. გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება ნარკობიზნესის გავრცელება და იარაღით არალეგალური ვაჭრობა.

6. ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებადი ქვეყნების საზიანოდ.

7. ხდება პლანეტის მთელი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალის თავმოყრა რამოდენიმე ქვეყანაში.

8. რეალური ხდება პროცესის არასწორად წარმართვის შემთხვევაში გლობალური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე, რაც საზოგადოებას კატასტროფით ემუქრება და სხვ.

მაშასადამე, გლობალიზაცია მოიცავს როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების, ისე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ სამართლიანი გლობალიზაციის განხორციელება. ამაში უდიდესი წვლილი ეკუთვნით ლიდერ (დიდ) სახელმწიფოებს. სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გლობალიზაციის ბედი.

როგორია გლობალიზაციის პერსპექტივა?

გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია რეალური პროცესია, რომლის გაუქმებაც არც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანას არ შეუძლია. გლობალიზაციის პროცესი არის მსოფლიო ბაზრის სუბიექტებს და სახელმწიფოებს შორის დიდი კონკურენციის, მაგრამ ამავე დროს დიდი ურთიერთდახმარების პროცესი. ამიტომ საჭიროა არა გლობალიზაციის საერთოდ უარყოფა, არამედ თითოეული სახელმწიფოს მისწრაფება, რათა ეს პროცესი წარიმართოს დიდი სიფრთხილით და ყველა ქვეყნის ინტერესთა გათვალისწინებით. თითოეულმა ქვეყანამ უნდა იბრძოლოს გამარჯვებისათვის დიდ კონკურენციულ ბრძოლაში, მაგრამ, რასაკვირველია, არა ძალით, არამედ ცოდნით, მეცნიერების განვითარებით, უმაღლესი ტექნოლოგიების შექმნით, კულტურის სრულყოფით, ინტელექტის ამაღლე-

ბით და ა.შ. გლობალიზაციის შედეგად ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს სხვა ქვეყნის სიკეთით. ამავე დროს შენარჩუნებული იქნეს ეროვნული ოვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, სარწმუნოება, ტერიტორია და ა. შ.). ასეთ პირობებში საჭირო აღარ იქნება ომები, სხვისი ტერიტორიების მითვისება. თანდათან უნდა შემცირდეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა. საჭიროა ყველამ გაიაზროს, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, რომ ჩვენ ყველა ერთ “ქვეყანაში” – დედამიწაზე ვცხოვრობთ და ყველამ ერთად უნდა მივხედოთ მას. სამართლიანი გლობალური ინტერესები უნდა დადგეს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა. მართალია, წარმოიშობა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ახალი ტრადიციები, შესაძლებელია დაიკარგოს ზოგიერთი ეროვნული ტრადიცია, წესი და ადათი და ა.შ., მაგრამ შენარჩუნებული უნდა იქნეს ძირითადი ეროვნული ღირებულებები, რომელიც თითოეული ქვეყნისათვის ძვირფასია. ეს მიიღწევა მაშინ, როდესაც გამოირიცხება ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება და ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება საერთო თანხმობის შედეგად. სხვა მიმართულება გლობალიზაციისა კატასტროფით შეიძლება დასრულდეს.

გლობალიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებზე, მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას, ვინაიდან მისი ფუნქციები დაიკარგება. მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება,

მაგრამ იგი იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალებისაკენ, დახმარებების უფასებიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ. გლობალიზაცია ამაღლებს ცხოვრების ხარისხს, მაგრამ ნაციონალური სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების გარეშე ეროვნული ეკონომიკა მუდამ იქნება წამყვანი ქვეყნის შედარებით მოძველებული ტექნოლოგიებისა და სამომხმარებლო პროდუქციის გამსაღებელი. გლობალიზაცია არის ობიექტური პროცესი, მაგრამ მისი რეგულირება აუცილებელია ეროვნული სახელმწიფოების თანასწორობის საფუძველზე შექმნილი ზეეროვნული ორგანოების მიერ.

გლობალიზაციის გავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე ძირითადად ვლინდება შემდეგში:

1. ეროვნული ეკონომიკები ხდებიან არა მხოლოდ გლობალიზაციის უბრალო მაყურებლები, არამედ მისი ორგანიზატორები და ცხოვრებაში გამტარებლები.

2. ხორციელდება სახელმწიფო სექტორის კიდევ უფრო შეკვეცა. პრივატიზება შეეხო ისეთ დარგებსაც კი, რომლებიც ადრე მკაცრი რეგულაციის დარგებად ითვლებოდა (ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სხვ.).

3. სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტი ხდება სოციალური პოლიტიკა. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შემცირების გამო გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსები სოციალურ სფეროში გამოიყენება.

4. ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების გავლენა, რომელთა წესების შესაბამისად ფუნქციონირებს ეროვნული ეკონომიკის დიდი ნაწილი. ეს ორგანიზაციებია, უპირველეს ყოვლისა, გენერალური შეთანხმება ტარიფისა და ვაჭრობის შესახებ (**GATT**), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (**WTO**), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (**IMF**), მსოფლიო ბანკი (**WB**).

5. მიმდინარეობს შრომის დანაწილების ახალი ეტაპი, რომლის დროსაც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ სხვა ქვეყნები.

6. ხდება ეროვნულ ეკონომიკაზე ეგზოგენური ფაქტორების გავლენის ზრდა.

7. მსოფლიო საფინანსო-საკრედიტო სისტემა, რომლის გლობალიზაციის დონემ წინ გაუსწრო რეალურ სექტორში გლობალიზაციას, დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირებაზე.

ქვეყნების გლობალიზაციის მაჩვენებლები წარმოდგენას იძლევა ცალკეული ქვეყნის ინტეგრაციაზე მსოფლიო პროცესებში და არა მსოფლიოს გლობალიზაციის ხარისხზე. ამიტომ, უმჯობესია ამ მაჩვენებლებს ქვეყნის ინტეგრაციის ინდექსი ერქვას, ხოლო მსოფლიოს გლობალიზაციის დონის დასახასიათებლად შემოღებულ იქნეს მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსი. იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიცავდეს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტრანს-ეროვნული კორპორაციების საქმიანობა, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, დანახარჯები სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროექტებზე, მსოფლიოში შემოსავლების უთანაბრობის (ქვეყნებს შორის), სიღარიბის, სამხედრო ხარ-

ჯების, სამხედრო კონფლიქტების, მიზნობრივი (საგალუ-
ტო, საკრედიტო და სხვ.) საერთაშორისო მარეგულირე-
ბელი ორგანოების ფუნქციონირების, საერთაშორისო ორ-
განოებში ცალკეული ქვეყნების მონაწილეობის თანაბრო-
ბის მაჩვენებლებს.

სამართლიანი გლობალიზაცია გულისხმობს რა
მსოფლიოს ხალხთა დაახლოებას და მათ ჰარმონიულ
თანაარსებობას, ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული საზო-
გადოების ბუნებასთან, რაციონალური თანაარსებობის
პროცესებთან ანუ ადამიანის საქმიანობის განვითარებას-
თან ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ბუნების კვლავწარმოე-
ბის პროცესებს. ბიოსფერო თანდათან გადადის “ნეოსფე-
როში”, სადაც ადამიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი
არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალე-
ბის მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედე-
გებს. გლობალიზაცია და ნეოსფეროს ჩამოყალიბების
პროცესი განაპირობებენ და აძლიერებენ ერთმანეთს.
სამართლიანი გლობალიზაცია ადამიანთა კეთილდღეო-
ბის განუხრები ზრდისკენაა მიმართული, რასაც სრული-
ად ახალი ტექნოლოგიების ჩამოყალიბება უწყობს ხელს.
ამჟამად განვითარებული სამყარო შედის ახალ ეპოქაში
– “მოაზროვნე ტექნოსფეროს” (“thinking technology”) ეპოქა-
ში, რომელიც კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს
შექმნის სამართლიანი გლობალიზაციისათვის კაცობრიო-
ბის სასარგებლოდ.

შეცდომები, საფრთხეები და მათი დაძლევის რეკომენდაციები

(აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა)

საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში შექმნილია სიტუაცია, რომელიც დიდი საფრთხეების შემცველია. ეს საფრთხეები იმ შეცდომების შედეგია, რაც ბოლო წლების განმავლობაში “უხვად” იქნა დაშეგბული. შექმნილ სიტუაციას მნიშვნელოვნად ამძიმებს რუსული სამხედრო აგრესია. ეს საფრთხეები შესაძლოა გახდეს რუსული ოკუპაციის შემდგომ პერიოდში ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური რეაბილიტაციის სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორები.

ქვემოთ ცალკეული სფეროების მიხედვით მოყვანილია დაშვებული შეცდომების არსი და დასახულია მათი თავიდან აცილების გზები.

საკუთრების უფლება

შეცდომის არსი. ყველაზე დიდი შეცდომა რაც დაუშვა “ვარდების რევოლუციის” გზით მოსულმა ხელისუფლებამ ეს კერძო საკუთრების უფლების ხელყოფაა. მესაკუთრებს ძალოვანი უწყებების ზეწოლით აიძულებდნენ ვითომდა “ნებაყოფლობით” დაეთმოთ საკუთრება სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს პროცესი დეპრივატიზაციის საბურველქვეშ იქნა გატარებული, რომლის მიზნადაც პრივატიზაციაში 2004 წლამდე დაშვებულ შეცდომათა ვითომდა გამოსწორება იქნა გაცხადებული. სინამდვილეში საკუთრების უფლების ხელყოფა გამოყე-

ნებულ იქნა ხელისუფლებასთან დაახლოებულ ე.წ. ელიოტარულ ბიზნესმენთათვის ქონების გადანაწილების მიზნით. ამ სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაინგრა არაერთი შენობა-ნაგებობა; თითოეული ასეთი შემთხვევა საკუთრების უფლების დარღვევის თვალსაჩინო პრეცედენტი იყო.

საფრთხე. საკუთრების უფლების ხელყოფა არასტაბილურობის განცდას ქმნის, რაც ეკონომიკური განვითარებისათვის შემაფერხებელი ფაქტორია.

რეკომენდაცია. აუცილებელია საკუთრების უფლების დაცვის არა მარტო საკანონდებლო ბაზის სრულყოფა, არამედ ხელისუფლების მხრიდან იმ პოლიტიკური ნების არსებობაც, რომ ამგვარი რამ აღარ განმეორდეს. ამასთან უკელა მათ, ვისაც უკანონოდ, იძულების გზით ჩამოერთვა თუ გაუნადგურდა საკუთრება, უნდა მიეცეს სათანადო კომპენსაცია.

სახელმწიფო ქონების გასხვისშეა

შეცდომის არსი. 2004 წლიდან დაწყებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია მიმდინარეობდა კანონმდებლობის სრული დარღვევით. სწორედ ამ გზით შემოვიდა საქართველოში რუსული, ყაზახური, თუ არაბული კაპიტალი. ხშირ შემთხვევაში პრივატიზაციისას გაუდერებულ თანხაზე რამოდენიმეჯერ ნაკლები ფიქსირდებოდა სახელმწიფოსა და ახალ კერძო მესაკუთრეს შორის გაფორმებულ კონტრაქტებში.

არც თუ იშვიათად, სპეციალურად ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციაში მონაწილეობის მისაღებად,

პრივატიზაციის წინ იქმნება ფირმები საეჭვო დამფუძნებლებითა და საეჭვო კაპიტალით, და სწორედ ისინი გამოდიან შესაბამის ტენდერებში გამარჯვებულნი.

სახეზეა ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩვენი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე ხდება სხვა სახელმწიფო (მაგალითად, თბილგაზის გასხვისების შემდეგ მისი მესაკუთრე ყაზახური სახელმწიფო კომპანია გახდა), რაც პრივატიზაციად ვერანაირად ვერ ჩაითვლება, თუმცა საქართველოს მთავრობამ ეს გარიგებაც პრივატიზაციის კონტექსტში გააპიარა.

ეველაზე დიდ გაოცებას კი ის იწვევს, რომ პრივატიზებული გაერთიანებული ქართული ბანკის ნაციონალიზაცია საქართველოს მთავრობის წახალისებით განახორციელა რუსულმა სახელმწიფომ, როცა მისი საკონტროლო პაკეტი რუსულმა სახელმწიფო ბანკმა – ვნეშტორგბანკმა შეიძინა.

მთავრობამ საჯაროდ უარყო სტრატეგიული ობიექტების ცნება, რათა ხელ-ფეხი გახსნოდა ასეთი ობიექტების გასასხვისებლად.

საფრთხე. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის არაგამჭვირვალობა ქმნის კორუფციის შესაძლებლობებს.

რეკომენდაცია. სახელმწიფო ქონების პრივატიზეციის პროცესი უნდა ტარდებოდეს მაქსიმალური გამჭვირვალობით, ისე, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ თუ ვინ არიან ამათუ იმ კომპანიის დამფუძნებლები. კანონით უნდა აიკრძალოს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების შემოსვლა საქართველოს ეკონომიკაში.

კონკურენციის შეზღუდვა

შეცდომის არხი. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ დაიწყო არაერთი სახელმწიფო ინსტიტუტის ნგრევა, რამაც ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოს დასუსტებას. კერძოდ, 2004 წლის ბოლოს, ვითომდა რეფორმების საბურველქვეშ გაუქმდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შესაბამისად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რითაც ხელი შეეწყო ბაზარზე მონოპოლიების განვითარებას.

აშკარა კურიოზი კი ის იყო, როცა 2007 წლის ოქტომბერში მთავრობის სხდომის ტელეტრანსლიაციისას შევიტყვეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ანტიმონოპოლიური რეგულირების ფუნქცია მარილის, შაქრის და სხვ. საქონლის ბაზრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა, რაც სრული ნონსენსია, რამეთუ ეს ფუნქცია არანაირ კავშირშია პოლიციისა, თუ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობასთან. (სამართლიანობა მოითხოვს ადინიშნოს, რომ მსგავსი კურიოზი ადრეც, კერძოდ, 2006 წლის გაზაფხულზეც მოხდა, როცა თავდაცვის მინისტრს პრეზიდენტის მიერ ქართული ღვინისათვის საზღვარგარეთ ბაზრების მოძიება დაევალა).

საფრთხე. მონოპოლიების მხრიდან საბაზრო კონკურენციის შეზღუდვა არა მარტო აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, არამედ საბოლოო ანგარიშით მომხმარებელს აზარალებს, რომელიც იძულებულია საჭირო საქონლი თუ მომსახურეობა მონოპოლიურად მაღალ ფასში შეიძინოს.

გარდა ხსენებულისა, ანტიმონპოლიური რეგულირების არარსებობა სერიოზული ბარიერია იმისათვის, რომ ევროკავშირმა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მიანიჭოს.

რეკომენდაცია. აუცილებელია ანტიმონპოლიური რეგულირების ისეთი კანონის მიღება და ამოქმედება, რომელიც თავსებადი იქნება ევროკავშირის სათანადო კანონმდებლობასთან.

სახელმწიფო სტატისტიკა

შეცდომის არსი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 2004 წლამდე უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ხოლო 2004 წელს კი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში იქნა შეუვანილი, რაც აშკარად ინტერესთა კონფლიქტია. შედეგად საქართველოში სტატისტიკას იგივე პოლიტიკური ფუნქცია დაეკისრა, რაც მას ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჰქონდა. ეს კი, კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ რეალური ფაქტების მიუხედავად სახელმწიფო სტატისტიკამ ქვეყნის ეკონომიკური მდგრადების ყოველწლიურად უპირობო გაუმჯობესება უნდა გამოაქვეყნოს.

2006 წლის აგვისტოში სტატისტიკის დეპარტამენტს “შემთხვევით გაეპარა” და წლიური ინფლაცია ივლისის თვის მდგრადებით 14,5 პროცენტის დონეზე დააფიქსირა. ამის გამო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის თბილისში მყოფი მუდმივი წარმომადგენლის მხრიდან მწვავე, თუმცა სამართლიანი, კრიტიკა დაიმსახურა. შედეგად მთავრობამ დეპარტამენტის თავმჯდო-

მარე გადააყენა და მთავრობისადმი აშკარად მორჩილ მის შემცვლელს დაევალა ინფლაციის გამოქვეყნებული მაჩვენებლის თანდათანობითი შემცირება. მთავრობის განცხადების თანახმად 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით წლიური ინფლაცია 8,8 პროცენტის დონეზე იქნა დაფიქსირებული, რითაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა, რომ ინფლაციის წლიური მაჩვენებელი არ ყოფილიყო ორნიშნა, ფორმალურად დაკმაყოფილდა. ფაქტია, რომ არც ჩვენი მოქალაქეების მხრიდან იყო იმის განცდა და არც ქართველი ექსპერტებისაგან იმის შეფასება, რომ წლიური ინფლაციის დონე არ იყო ორნიშნა.

2009 წლიდან სტატისტიკის ეროვნული სამსახური ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, თუმცა მის უმაღლეს ორგანოში – სამეთვალყურეო საბჭოში გათვალისწინებულია ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების, ასევე ეროვნული ბანკის ხელმძღვანელთა მონაწილეობა, რითაც ხსენებული ინტერესთა კონფლიქტი პრაქტიკულად შენარჩუნებულია. ამის შედეგად, სტატისტიკური ინფორმაციით მანიპულირება მთავრობის მიერ ინსტიტუციური ცვლილების მიუხედავად მაინც გაგრძელდა.

საფრთხე. ფაქტია, რომ არავინ იცის ის რეალური სურათი, რასაც მეტ-ნაკლებად ობიექტური სტატისტიკა უნდა იძლეოდეს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის დამახინჯება არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სათანადო კორექცია მოხდეს ეკონომიკურ პოლიტიკაში. მცდარი გზით სიარული კი საბოლოო ანგარიშით უმ-

ძიმეს მდგომარეობაში ჩააყენებს მთელ ქვეყანას და მის მოსახლეობას.

რეკომენდაცია. აუცილებელია სტატისტიკის შესახებ ახალი კანონის მიღება, რომელიც შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებას მიანიჭებს რეალურ დამოუკიდებლობას მთავრობისაგან. ამისათვის, აუცილებელია ამ დაწესებულების გამოყვანა მთავრობის შემადგენლობიდან და მისი პარლამენტისადმი დაქვემდებარება.

ურთიერთობები დამტკიცებულებებისა და დაძირავებულებების შორის

შეცდომის არსი. პოსტ-რევოლუციური მთავრობის ერთ-ერთ “დამსახურებად” ითვლება შრომის კოდექსის ისეთი ვარიანტის მიღება, რომელიც მაქსიმალურ უფლებებს აძლევს დამქირავებელს და აბსოლუტურად უუფლებოს ხდის დაქირავებულს. ამ ტიპის შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას მთავრობა იმით ასაბუთებს, რომ მიმზიდველი გახადოს საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის.

2006 წელს პრეზიდენტის ინიციატივით 20 პროცენტიანი სოციალური გადასახადი და 12 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი უნდა გაერთიანებულიყო (?!). საშემოსავლო გადასახადში, რომლის დონეც უნდა დადგენილიყო 25 პროცენტით. ეს ასეც გაკეთდა, და შესაბამისი საგადასახადო ცვლილება ძალაში 2007 წლიდან შევიდა. მოგვიანებით 25 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი 20 პროცენტიანი განაკვეთით შეიცვალა.

იმის გათვალისწინებით, სოციალური გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი სხვადასხვა ბაზიდან იან-

გარიშება მათი გაერთიანება პრინციპულად შეუძლებელია.

საფრთხე. ახალმა შრომის კოდექსმა დაქირავებულ-თა სოციალური მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა. გარდა ამისა, დაქირავებულთა უუფლებობა სერიოზული ბარიერია იმისათვის, რომ ევროკავშირმა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მიანიჭოს.

რაც შეეხება გადასახადებს, აქ სინამდვილეში დამ-ქირავებლებს გაუუქმეს 20 პროცენტიანი სოციალური გა-დასახადი და მის სანაცვლოდ დაქირავებულებს საშე-მოსავლო გადასახადი 12-დან 20 პროცენტამდე გაუზარ-დეს. ფაქტობრივად დაქირავებულებთა მდგომარეობა არ-სებითად გაუარესდა.

რეკომენდაცია. აუცილებელია შრომითი ურთიერთო-ბების რეგულირების ისეთი კანონის მიღება და ამოქმე-დება, რომელიც თავსებადი იქნება ევროკავშირის სათა-ნადო კანონმდებლობასთან, რაც იქნება იმის გარანტია, რომ დაქირავებულები თავს მეტ-ნაკლებად დაცულად იგრძნობენ.

მიზანშეწონილია სოციალური გადასახადის ადგგნა 12 პროცენტის დონეზე, ხოლო საშემოსავლო გადასახა-დის დაწევა ასევე 12 პროცენტის დონეზე. ამ შემთხვევაში დამქირავებლებსა და დაქირავებულებზე დასაქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ტგირთი თანაბრად გადა-ნაწილდება. სამომავლოდ კი ორივე ამ გადასახადის გა-ნაკვეთი შეიძლება 10 პროცენტამდე იქნეს დაწეული.

თავისუფალი ეპონომიკური ზონა – ეპონომიკური ბანკითარების მახე

შეცდომის არსი. თავისუფალი ეპონომიკური ზონის (ანუ იმ ეპონომიკური სივრცის, სადაც ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებით, სხვადასხვა სახეობის შეღავათები მოქმედებს) იდეა ძირითადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის სახელთანაა დაკავშირებული.

ქვეყანაში გატარებული ეპონომიკური ლიბერალიზაციის პირობებში თავისუფალი ეპონომიკური ზონის შექმნის ეპონომიკიკური მიზანშეწონილობა კლებულობს, რადგანაც შესაძლო შეღავათების წუსხა და მასშტაბები სწორედ ამ ლიბერალიზაციის გამო მცირდება. ეს კი ის მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომლის გათვალისწინების სურვილი, სამწუხაროდ, არც ასლან აბაშიძეს და არც პოსტრევოლუციურ მთავრობას აღმოაჩნდა.

საფრთხე. სიტუაციას ამბიმებს ის, რომ დღეს (2008 წლის აგვისტოს ომამდეც, და განსაკუთრებით ომის შემდეგ) საქართველოს ეპონომიკა ინვესტიციების ნაკლებობას, ანუ ინვესტიციურ “შიმშილს” განიცდის და ასეთ პირობებში თავისუფალი ეპონომიკური ზონის შექმნა ქვეყანაში ინვესტიციური “შიმშილის” გაღრმავებას გამოიწვევს, რაც საბოლოო ანგარიშით მთელი ეპონომიკის განვითარებას შეაფერხებს. ინვესტიციური “შიმშილის” პირობებში არა მარტო უცხოელი, არამედ ადგილობრივი პოტენციური ინვესტორიც ფულს მხოლოდ თავისუფალ ეპონომიკურ ზონაში დააბანდებს. ასე, რომ ინვესტიციები მხოლოდ არსებულ თავისუფალ ეპონომიკურ ზონაში

ჩაიდება და არც ერთი ინვესტორი აღარ მოინდომებს ზონის გარეთ ინვესტიციის გადებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ზონის ეკონომიკური განვითარება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე მოხდება.

რეკომენდაცია. თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსებისა და რეგულირების საქართველოში მოქმედი კანონი სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ უნდა გაუქმდეს. უცხოელ ინვესტორებთან დადებული სათანადო ხელშეკრულებები საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით უნდა გაუქმდეს.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება და საბიუჯეტო ფედერალიზაციის ბანკითარება

(პროფესორი როზეტა ასათიანი)

საქართველოში გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან დაწყებულმა უდიდესმა სისტემურმა გარდაქმნებმა და უსისტემოდ განხორციელებულმა რეფორმებმა მრავალი მწვავე პრობლემა წარმოქმნა. ეკონომიკის კონკერსის პროცესი წინააღმდეგობრივად წარიმართა. ქვეყნის თავისებურებების არააღეყვატური საპრივატიზაციო პოლიტიკის გატარებასა და სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნელად ბიზნესის ორგანიზაციული სტუქტურების ჩამოყალიბებას უარყოფითი ეფექტები მოჰყვა. ეკონომიკის მონოპოლიზაციამ და კრიმინალიზაციამ, სხვა ნეგატიურ ფაქტორებთან ერთად, დაბალი საქმიანი აქტიურობა და მაღალი უმუშევრობა გამოიწვია, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ პერიოდში საბიუჯეტო კრიზისა და, საბოლოო ანგარიშით კი სიღარიბის სწრაფ ზრდასა და ეკონომიკის დაბალ კონკურენტუნარიანობაში აისახა. სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური სამართლიანობა, ეროვნული თანხმობა და თავისუფლება მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებად დარჩა. ეკონომიკური რეფორმების სხვისი კარნახით, მოუფიქრებლად განხორციელების სუსტი საზოგადოებამ განსაკუთრებით მწვავედ ეკონომიკის კონკერსის თრი ათეული წლის შემდეგ შეიგრძნო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს საქართველომ დამოუკიდებლობა ახლა მოიპოვა და ეკონომიკის რეფორმირებაც ახლა დაიწყო. ლაგის

ფაქტორმა, რომელიც გამოხატავს პრობლემის არსებობის აღიარებისა და მარეგულირებელი მექანიზმის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შორის დროის შეალებს, განსაკუთრებით რეგიონებში იჩინა თავი. უგულვებელყოფილ იქნა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია – ტერიტორიულ ერთეულებში მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნება და დისპროპორციების აღმოფხვრა. ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ეთნიკური და ა.შ. რეგიონული კრიზისები სახელმწიფო პოლიტიკის ნორმად იქცა. ამიტომ დღეს, საქართველოსთვის ამ მეტად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როგორც არასდროს, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დარეგულირებას, ცენტრსა და რეგიონებს შორის არა მხოლოდ ფინანსური რესურსების რაციონალურ ტერიტორიულ განაწილებას, არამედ საგადასახადო უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილებას. არანაკლები მნიშვნელობისაა ამ პრობლემისადმი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხების შესწავლა. მეცნიერ-მუშაკების ვალია გავაძლიეროთ ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემის პალევა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სოფელს, რომელიც დღეს ნელ-ნელა იფერფლება და ხელისუფლებას დროულად მივაწოდოთ საყურადღებო წინადადებები და რეკომენდაციები. მკითხველი ჩავაფიქროთ იმაზე თუ საით მიდის ქვეყანა, რა სირთულეებს ვაწყდებით ამ გაუკვალავ გზაზე და როგორ შეიძლება

ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე. ეს მეტად რთული, მაგრამ ამავე დროს მეტად საჭირო საქმეა.

საქართველოს ახალი ხელისუფლება ცდილობს შეცვალოს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ნეოლიბერალური (ულტრალიბერალური) კურსი (სინამდვილეში ნეოლიბერალურს მიმსგავსებული, ოვითდინებაზე მიშვებული კურსი) და საგსებით სწორად, მრავალ სხვა მწვავე პრობლემასთან ერთად, წინა პლანზე ადგილობრივი ოვითმმართველობის გაძლიერების საკითხს აყენებს, რაც ორგანულად უკავშირდება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირებასა და საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარებას. ეს უკანასკნელი, როგორც საბიუჯეტო მოწყობის ფორმა, არის ცენტრალურ და ტერიტორიულ სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის არა მხოლოდ ფინანსური რესურსების, არამედ საგადასახადო უფლება-მოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილება.

დამოუკიდებელ საქართველოში თავიდანვე რთულად და მტკიცნეულად წარიმართა საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩამოყალიბების პროცესი. წარსულის მემკვიდრეობამ, ცენტრალიზებული ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა საბიუჯეტო ტრადიციებმა, გაურკვევლობამ ბიუჯეთაშორისი პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განსაზღვრაში და, საბოლოო ანგარიშით, ბიუჯეთაშორისი ურთიერთობების რეგულირების მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკის გაუთვალისწინებლობამ წარმოქმნა პირობები საბიუჯეტო რესურსების არარაციონალური, არაოპტიმალური გამოყენებისათვის, გამოიწვია ცალკეული რეგიონების რესურსული გამოფიტა, სტრუქტურული დეფორმირება, რეგი-

ონული დისპროპორციები, შიდარეგიონული, რეგიონთა-შორისი და სახელმწიფო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მოშლა. ყოველივე ეს მწვავედ აისახა სოციალურ სფეროში, მნიშვნელოვნად დააჩქარა უმუშევრობის ზრდა და ინფლაციის გალრმავება. ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ყველა დონის ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზა შემცირდა. მათ დაკარგეს საინვესტიციო ფუნქცია და გადაიქცნენ სამომხმარებლო ბიუჯეტებად, აღმოჩნდნენ ქმედითუუნარონი. საშემოსავლო უფლებამოსილების შესაბამისობა ხარჯების კომპეტენციასთან ფარატინა ქაღალდად დარჩა. გამოიკვეთა მხოლოდ ვერტიკალური ურთიერთობები, პორიზონტალური კი საერთოდ გაქრა. არსებული ბიუჯეთა შორისი ურთიერთობები თავისი ხასიათით დაუახლოვდა მართვის მბრძანებლურ-აღმინისტრაციულ სისტემას. საბიუჯეტო რესურსების განაწილება ცენტრალურ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის მთლიანად სუბიექტივიზმს დაემყარა.

საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში ერთიანი სტრატეგიის უქონლობის, მეცნიერულად დაუსაბუთებელი ფისკალური პოლიტიკის გამო პერმანენტულად გრძელდებოდა საბიუჯეტო დავალებების შეუსრულებლობა. საქართველო თანდათან მოექცა საგარეო-საკრედიტო პოლიტიკის გავლენის ქვეშ, გაიზარდა სახელმწიფო საგარეო ვალი. ამჟამად მთლიანი საგარეო ვალი 12 მლრდ დოლარს შეადგენს, ხოლო საგარეო და საშინაო ვალის წლიური მომსახურებამ 900 მლნ დოლარს გადააჭარბა, რაც მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. გაქრა შიდა საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვის შესაძლებლობები. ამიტომ საქართველოში არსებული სა-

ბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა არ შეესაბამება არც ნეოლიბერალიზმისა და არც სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. არსებული სიტუაცია აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, გამოუყენებელია რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რეგიონული ეკონომიკა ერთ წერტილში გაიყინა.

ქვეყანაში შექმნილმა არასახარბიელო ეკონომიკურმა გარემომ გამოიწვია სამეწარმეო საქმიანობის მკვეთრი დაქვეითება და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება. სახელდობრ, საქსტატის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2011 წელს 2007 წლის 12,3%-დან 7,2%-მდე დაეცა. თანაც პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ჩართვა მშპ-ში ხელოვნურად ზრდიდა ეკონომიკური ზრდის ტემპებს. საქართველოში – ასეთ მიწათმოქმედების ქვეყანაში, კვების პროდუქტების იმპორტმა 80%-ზე მეტი შეადგინა. ქართული ფირმების მარკით წარმოებული ზოგიერთი რძის, ხორცის, საკონდიტრო და ა.შ. ნაწარმი იმპორტირებული ნედლეულით, ნახევარფაბრიკატებითა და მასალებით იწარმოება. ოფიციალური სტატისტიკით (რომელიც ახლოსაც არ არის სინამდვილესთან) უმუშევრობა საქართველოში 15%-ია, ხოლო ექსპერტული შეფასებით – 71%. მოსახლეობის 53% თვითდასაქმებულია. შრომისუნარიანი მოსახლეობის 1/4 საზღვარგარეთაა გადახვეწილი (მათ შორის, გლუხობაც. ამ თოხითა და ბარით მომუშავე გაძვალტყავებულ კატეგორიას ფერმერებს ვერ ვუწოდებთ). ამასთან, მათ მნიშვნელოვან ნაწილს არარეგულარული შემოსავლები აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ, ჯერ კიდევ, 1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების (ქალაქების, რაიონების, სოფლების) ბიუჯეტებისა და ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა და ხარჯების შედგენის, დამტკიცების, შესრულების საკითხები, აგრეთვე შემოსავლებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები, პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებსა და ცენტრალურ ბიუჯეტში ჩასარიცხი გადასახადების დიფერენციაციის მიმართულებით, განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონული ბიუჯეტების ანარიცხების ნორმატივები და ა.შ. ჯერ კიდევ მწვავედ დგას საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის რეფორმირების პრობლემები. ის გარემოება, რომ დაბალია მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეები და შრომითი რესურსების გამოყენების დონე, ხოლო საწარმოთა დიდი ნაწილი უმოქმედოა. ქვეყანაში არსებობს გამოუყენებელი შრომითი პოტენციალი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას და მნიშვნელოვნად აფერხებს ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებში მსოფლიოში პრობირებული გამოცდილების დანერგვას. ამას ხელს უწყობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არარსებობაც. სახელმწიფო და მუნიციპალური ტენდერები აბსოლუტურად გაუმჭირვალება. „თავისიანობის“ პრინციპით გამარჯვებული ფირმები კანონმდებლობის უხეში დარღვევითა და ხარჯების გაბერვით ასრულებდნენ სამუშაოს.

მართალია, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს, ბიზნესის კეთების მიხედვით, სახარბიელო პოზიცია უჭირავს, მაგრამ ფირმების დახურვის, მათი გაკოტრების მხრივ იგი 105-ე ადგილზეა. კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველო 139 ქვეყნიდან 93-ე ადგილზეა, საკუთრების დაცვის კუთხით – 120-ე, ხოლო დემოკრატიის ინდექსის მიხედვით – 103-ე ადგილზე.

მაგრამ ეს ყველაფერი და ბევრი კიდევ სხვა ართქმული (მაგალითად, ის რომ საბიუჯეტო ხარჯები აბსოლუტურად გაუმჭირვალეა და მათში არის მუხლი „სხვადასხვა“, რომელზედაც მიწერილია 1 მლრდ ლარი ანუ ხარჯების 13,33%) მიმავალი რეჟიმის თანმხლებია. მთავარია ახლა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ გამოვიდეთ ამ უაღრესად მძიმე მდგომარეობიდან.

როგორც მეცნიერული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, აუცილებელია შემუშავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მკვეთრად განსაზღვრული პრინციპები, რომლის გარეშე რეალური რეფორმების გატარება საქართველოში შეუძლებელია. სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს ტერიტორიული დისპროპორციების ლიკვიდაცია, ხელისუფლების ყველა დონის ეკონომიკური ინტერესების ოპტიმალური შესამება. აუცილებელია ამაღლდეს ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობა ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ეწ. დეპრესიულ რეგიონებს, რომელთა საბიუჯეტო შე-

მოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნის საშუალო
მაჩვენებელზე ნაკლებია;

2. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების პრინციპების რეალიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს დასავლეთში საქმაოდ აპრობირებული საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს საქართველოში. იგი ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სისტემის, როგორც ვერტიკალური, ისე პორიზონტალური დაბალანსების პრობლემების მოწესრიგებას, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ხასიათს;

3. აუცილებელია შეიქმნას სუბვენციის ფონდი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს იმას, თუ რამდენად მიზანდასახულად ხდება გაწეული ხარჯების გამოყენება;

4. რეგიონების ტრანსფერული დაფინანსების მოქმედი სისტემა დაფუძნებულია ძალზე მწირი საბიუჯეტო რესურსების გადანაწილებაზე, რომელიც რეგიონებს თავიანთი ბიუჯეტების საინვესტიციო ნაწილის ფორმირების საშუალებასაც კი არ აძლევს. სამომავლოდ, რეგიონული ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, ტრანსფერები უნდა შემცირდეს, მათ არ უნდა ჰქონდეთ საყოველთაო ხასიათი, მაგრამ ამჟამად, ამ კრიტიკულ სიტუაციაში, აუცილებელია გაიზარდოს სუბვენციური (მიზანდასახული) ტრანსფერების გაცემა;

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმცირესი და მცირე ბიზნესის განვითარებას რეგიონალურ ჭრილში. ეს მოგვცემს საშუალებას ავითვისოთ საქმაოდ დიდი რაოდენობის გამოუყენებელი მატერიალური (წყლის რესურსები, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის წარ-

მოებისთვის საჭირო ნოენი ნიადაგი და ა.შ.) და შრო-
მითი (ადამიანის უფლის) რესურსები, დაფუძნოთ მო-
სახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, თავიანთ
საცხოვრებელს, რაშიც, მნიშვნელოვანი როლი ინფრა-
სტრუქტურის განვითარებამ უნდა შეასრულოს;

სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა შეადგინონ მცირე
ბიზნესის დახმარების პროგრამები, რისთვისაც აუცილე-
ბელია გასცენ სესხები დაბალი პროცენტით, შეამცირონ
გადასახადები (პირველ ეტაპზე გაანთავისუფლონ კიდეც
მისგან), ხელი შეუწყონ სხვადასხვა სახის ტექნიკურ და
საკონსულტაციო (ძირითადად უფასო) მომსახურების
დანერგვასა და ა.შ.;

6. საქართველოში საგადასახადო უფლებამოსილების
ტერიტორიული განაწილება და ხელისუფლების ქვე-
მდგომი ორგანოებისთვის ავტონომიის მინიჭებასთან და-
კავშირებით არსებული კანონმდებლობა არ შეესაბამება
საერთაშორისო სტანდარტებს ანუ არ შეესაბამება „სა-
ხელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრიტერიუმის“
მოთხოვნებს. ეს პრობლემა მეტად საყურადღებოა ხელი-
სუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან;

7. ქვეყნის ტერიტორიებისადმი სახელმწიფო მხარ-
დაჭერა უნდა გამოიხატოს კონკრეტული რეგიონული სა-
ინვესტიციო პროექტების შედგენაში, კომერციული ბან-
კების კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების მიცემაში
და ა.შ.;

8. საბიუჯეტო ფედერალიზმის საქართველოსთვის
მისაღები ოპტიმალური მოდელის შესამუშავებლად აუცი-
ლებელია ერთ ჭრილში განვიხილოთ არა მხოლოდ შე-
მოსავლების, არამედ ხარჯების სისტემაც. ამიტომ ბიუ-

ჯეტის შედგენა უნდა დაიწყოს შემოსავლების ოდენობის დადგენითა და არა ხარჯების ფორმირებით;

9. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია ფინანსების სფეროში მსოფლიოში პრობირებული გამოცდილების – საშუალო-კადიანი (სამიდან ხუთ წლამდე) დაგეგმვის განხორციელება.

საბაზრო მექანიზმის მოთხოვნათა გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის აღეპვატური საბიუჯეტო ფედერალური მნიშვნელოვანი სტიმული გახდება საქმიანი აქტიურობისა და საგადასახადო ბაზის გაფართოებისათვის. იგი მოგვცემს მაღალ მულტიპლიკაციურ ეფექტს, ხელს შეუწყობს საქართველოს მასშტაბით ეკონომიკური პორტფილის აღდგენასა და ეკონომიკურ ზრდას.

ბანვითარების ნეოინდუსტრიულ ტიპზე გადასცლა

(ემდ ვახტანგ ბურდული)

1. საქართველოს წინაშე მწვავედ დგას განვითარების ნეოინდუსტრიულ ტიპზე გადასცლის პრობლემა, ეკონომიკის შესაბამისი დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების საფუძველზე. 1990 წლების დასაწყისში ეკონომიკის პოსტსაბჭოური ვარდნის შემდეგ საქართველოში, ისევე, როგორც პოსტსაბჭოური ქავენების უმეტესობაში, მკვეთრად შეიცვალა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა. დაიკარგა ბევრი საჭირო დარგი და წარმოება. ჯერჯერობით დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა არ შეესაბამება ნეოინდუსტრიული ტიპის განვითარების თანამედროვე სტანდარტებს.

2. საქართველოში ეკონომიკის ნეოინდუსტრიული ტიპზე მიღწევა გულისხმიბს:

– ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვას და ამ ტექნოლოგიების უზრუნველყოფი დარგების თანდათან ფორმირებას. შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებას;

– ინოვაციური საქმიანობის მდგრად ინფრასტრუქტურის შექმნას;

– მეცნიერებატევადი საქონლისა და მომსახურების ხვედრითი წონის ზრდას წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობაში;

– მაღალი და წამყვანი ტექნოლოგიებით აღჭურვილი დარგებისა და შესაბამისი ნაკეთობებისა და მომსახურების წარმოების მდგრად განვითარებას;

– ახალი და მოდერნიზებული ტექნოლოგიების დროულ დიფუზიას რიგ ტრადიციულ დარგში მათი რეანიმაციას მიზნით (მსუბუქ მრეწველობაში, ავეჯის მრეწველობაში და ა. შ.);

– გრძელვადიან პერიოდში აგროსამრეწველო კომპლექსის ორიენტაციას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მსუბუქი მრეწველობის განვითარებაზე;

– ინდივიდუალური მომსმარებლის მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი წარმოების განვითარებას (ტანსაცმლის კერვა, საცხოვრებლების მშენებლობა, ავეჯის წარმოება, სამედიცინო მომსახურების ზოგიერთი სახეობა და ა. შ.).

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნეოინდუსტრიული განვითარება გულისხმობს არა მარტო ახალი და ტრადიციული მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებას, არამედ ისეთი დარგობრივი სტრუქტურის შექმნას, რომელშიც სათანადო ადგილი უკავია იმ ტრადიციულ დარგებს, რომლებიც ადამიანის მთავარ მატერიალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ (ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ტყავის სხვა ნაკეთობების, ავეჯის დას ხვ. წარმოება).

თანამედროვე პირობებში მხოლოდ ასეთი ნეოინდუსტრიული ტიპის განვითარება მოგვცემს შესაძლებლობას მიღწეული იქნეს დასაქმების მაღალი დონე, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, მისი მსეულველობითუნარიანობის და კეთილდღეობის ამაღლება.

3. განვითარების ნეოინდუსტრიულ ტიპზე გადასვლისათვის აუცილებელია პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა. დარგების პრიორიტეტულობის მთავარ კრიტე-

რიუმებს წარმოადგენენ: 1. დარგის საექსპორტო პოტენციალი; 2. შიდა ბაზარზე დარგის პროდუქციაზე მოთხოვნის პერსპექტივები; 3. ქვეყნის განვითარების პერსპექტივები დარგის დაჩარებული განვითარების შემთხვევაში (ქვეყნის მიერ მაღალი ინდუსტრიული სტადიის მიღწევა); 4. რამდენად უზრუნველყოფს დარგის განვითარება ქვეყნის საგაჭრო ბალანსში დეფიციტის მინიმიზაციას; 5. რამდენად უზრუნველყოფს დარგის განვითარება ნედლეულისაგან და იმპორტისაგან დამოკიდებულების მინიმიზაციას და მრეწველობაში რესურსტევადობის შემცირებას; 6. ხელსაყრელი თანხმლები ეფექტი (სხვა დარგების ეფექტიანობის ამაღლება; დარგის მულტიპლიკაციური ეფექტი); 7. ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი დარგების დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანა (ასეთ მდგომარეობაში, მაგალითად, ამჟამად, საქართველოში არის სოფლის მეურნეობისა და მასთან მომიჯნავე სამრეწველო დარგები მსუბუქ და ზოგიერთი დარგი კვების მრეწველობაში).

4. ქვეყნის ეკონომიკის დაჩარებული ნეოინდუსტრიული განვითარებასთვის საჭიროა ქვეყანაში და რეგიონებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების კოორდინაციის ორგანიზაციული და ინსტიტუციური სისტემების შემდგომი გაუმჯობესება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს:

— ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებების განაწილების სრულყოფის გზები (კომპეტენციის რაციონალური გამიჯვნა მართვის დონეებს შორის დღეისათვის წარმოადგეს ქვეყნის

სწრაფი და მდგრადი ნეოინდუსტრიული განვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წანამდვარს);

– მართვის კველა დონეზე ინსტიტუციური წყობის სრულყოფის გზები;

– თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის დამყარების ხელშეწყობის ამოცანები. ეს ნიშნავს მთლიანად ქვეყნისა და მისი რეგიონების დონეზე (რეგიონის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით) პრიორიტეტული დარგების არჩევას (ქალაქებში და სოფლად), ცენტრალური და რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებას, ექსპორტზე ორიენტირებული, იმპორტჩანაცვლებადი და სხვა საწარმოების განვითარების მხარდაჭერის ხერხების განსაზღვრას;

– რეგიონული წარმოების (სოფლად და ქალაქებში) დივერსიფიკაციის გზები;

– მცირე და საშუალო ზომის მიზიდულების ცენტრების განვითარების გზები;

– რეგიონებში რეალურ სექტორში საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფის გზები.

5. ნეოინდუსტრიული განვითარების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ფისკალური მექანიზმის სრულყოფა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს დაჩქარებულ განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში მოქმედი ბიზნესის სტიმულირებაზე ორიენტირებული საგადასახადო შედავათების სისტემის შექმნას. ზოგიერთი ქვეყნის ბიუჯეტებში (მუდმივად ან დროებით) გამოიყოფა სპეციალური საფინანსო ხაზები კერძო სექტორის პრიორიტეტული საწარმოების მხარდასაჭერად, რომელთა სახ-

სრების გამოყენება წარმოებს ან უშუალოდ ან სპეციალური ორგანიზაციების (მაგალითად, განვითარების ბანკების, სპეციალური ფონდების) მეშვეობით და დაცულია კანონმდებლობით (როგორც მაგალითი 1883 წ. იაპონის კანონი “მრეწველობის ზოგიერთი დარგის სტრუქტურის სრულყოფის სპეციალური ზომების შესახებ”). მსგავსი ღონისძიებები თანამედროვე ეტაპზე მიზანშეწონილია შემოღებულ იქნეს საქართველოში.

6. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა მოითხოვს სრულყოფას იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველოში არ არსებობს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა რეგიონულ (სამხარეო) დონეზე. ეს მაშინ, როდესაც გლობალიზაციის პირობებში რეგიონული მმართველობის საბიუჯეტო-საგადასახადო ფუნქციები განვითარებულ ქვეყნებში იზრდება, განსაკუთრებით, ბიზნესის მხარდაჭერისა და რეგიონული მასშტაბის საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნის მიმართულებით.

7. არც ერთ ქვეყანას, მით უმეტეს მცირე ქვეყანას, არ შეუძლია საკუთარი ძალებით და ტექნოლოგიებით სრულფასოვანი ინდუსტრიული (მრავალდარგობრივი) კომპლექსის შექმნა, საჭიროა ფისკალური და სხვა ინსტიტუციური პრეფერენციების შემოღება ქვეყანაში ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმების ფუნქციონირებისათვის. ასეთი პრეფერენციების მინიჭება შეიძლება შეთანხმებულ იქნეს სეპარატული მოლაპარაკებების საფუძველზე იმ კომპანიებთან, რომლებიც აპირებენ ქვეყანაში საწარმოების განთავსებას (იმ შემთხვევაში, თუ მათი მოზიდვის მიზანშეწონილება დასაბუთებულია). ბუნებრივია, რომ ფისკალური მეთოდების საშუალებით

ასევე საჭიროა სამამულო მეწარმეების მიერ საზღვარ-გარეთში თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების შესყიდვისა და ათვისების წახალისება.

8. საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა უფრო მკვეთ-რად უნდა იქნეს მიმართული თანამედროვე ტექნოლო-გიებზე დაფუძნებული საწარმოების ჩამოყალიბებისა და არსებულის ეფექტიანი ფუნქციონირების სტიმულერე-ბისაკენ (მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციის მიერ და-დგენილი წესების ჩარჩოებში), რათა ქვეყანაში დაწ-ქარდეს ნეოინდუსტრიული ტიპის დარგობრივი სტრუქ-ტურის ფორმირება. საჭიროა ქვეყნის უკვე საკმაოდ გან-ვითარებული კერძო საბანკო სისტემის უფრო მკვეთრი ორიენტირება პრიორიტეტული დარგების განვითარების გრძელვადიანი დაკრედიტების მოცულობის ზრდაზე. ამი-სათვის მიზანდასახულად უნდა იქნეს გამოყენებული ცენტრალური ბანკის ინსტრუმენტები. ქვეყანაში და მის რეგიონებში მიზანშეწონილია შეიქმნას განვითარების (ან ინვესტიციური) ფონდები (საჭიროების შემთხვევაში პრი-ორიტეტული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სა-წარმოებების სუბსიდიორებისათვის იმ წესების ჩარჩოებში, რომლებიც განსაზღვრულია მსოფლიო საგაჭრო ორგა-ნიზაციის მიწერილობებით და გლობალური საკრედიტო ორგანიზაციების რეკომენდაციებით). ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტისა და კერძო ინვესტორების სახსრებით, საწე-დებო ფონდის ფორმირების ბაზაზე, მიზანშეცონილია შეიქმნას განვითარების (ან ინვესტიციური) ბანკი, კერძო სექტორის პრიორიტეტული წარმოებების შეღავათიანი დაკრედიტების მიზნით.

9. სახელმწიფოს დონეზე და, ასევე, მისი რეგიონებისა და ადგილობრივი წარმონაქმნების დონეზეც საჭიროა მეურნეობის ინსტიტუციური წყობის განვითარება. განვითარებული ქავენების გამოცდილების შესაბამისად უნდა გაიზარდოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ეკონომიკური მართვის მექანიზმების ნაირსახეობები, შესაბამისად, სახელმწიფოსა და კერძო საწარმოებს შორის კონტრაქტების ნაირსახეობები სახელმწიფო, რეგიონული ან მუნიციპალური ორგანოების მიერ შეკვეთილი სამუშაოების შესასრულებლად (კონცენსია, დაინტერესებული მართვა, იჯარა). ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციურ ურთიერთობებს, რომლებიც ხორციელდება, ერთი მხრივ სახელმწიფო და რეგიონულ ორგანოებსა და, მეორე მხრივ, მეწარმეებს შორის დიალოგისა და ხელშეკრულების დადგების საფუძველზე, სახელმწიფოს მხრიდან პრეფერენციების მინიჭებისა და ბიზნესის მხრიდან, ამის სანაცვლოდ, გარკვეული ვალდებულებების აღების დროს. სოფლებში, კერძოდ, საჭიროა მცირე მეურნეობების განვითარების სტიმულირება (სპეციალიზებული დამხმარე ორგანიზაციების, საწარმოების, ფირმების დაარსებისა და მცირე მეწარმეებისათვის სუბსიდიების გამოყოფით). განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ინსტიტუციური ურთიერთობების განვითარება სოფლად, მესაკუთრეების დარგობრივი ასოციაციების ფორმირების, სახელმწიფო, შერეული და კერძო სპეციალიზებული დამხმარე საწარმოების, ორგანიზაციების, ფირმებისა და ფერმების შექმნისა და სასოფლო-სამუშაოებისათვის სუბსიდიების გამოყოფის საფუძველზე.

მრეწველობა

(აკად. დოქტორი ნანული არევაძე)

1. საქართველოს მრეწველობას გასული საუკუნის 90-იან წლებამდე წამყვანი ადგილი ეპავა ქვეყნის ეკონომიკის დარღობრივ სტრუქტურაში, მასში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დარგი. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები გამოირჩეოდა, მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანების სამრეწველო პროდუქციის წარმოებით (ელექტროენერგია, მინერალური სასუქები, ქიმიური ბოჭკოვები და სხვა) მოსახლეობის ერთ სულზე, საქართველო არც თუ ცუდად გამოიყურებოდა. XX საუკუნის ბოლოს, ეკონომიკის ტრანსფორმაციით განპირობებულმა კრიზისმა მრეწველობას ბევრი დარგი მთლიანად გაანადგურა, ბევრი კი გაანადგურების პირას მიიყვანა. ეს პროცესი ჯერაც გრძელდება, ახლის მშენებლობა კი ძალზე ნელი ტემპებით მიმდინარეობს. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია:

- ხელისუფლების მხრიდან მრეწველობის განვითარება მიჩნეულ იქნეს პრიორიტეტულ მიმართულებად, განსაკუთრებით, გადამმუშავებელი მრეწველობა;
- ინვესტორებს მრეწველობის გადამმუშავებელ დარგებში სახსრების დასაბანდებლად შეექმნათ ხელშემწყობი პირობები;
- უნდა გაგრძელდეს ელექტროენერგეტიკის წინმსწრები ტემპებით განვითარება უპირატესად მცირე და საშუალოსიმდლავრის პიდროველექტოსადგურების მშენებლად აუცილებელია:

ლობისა და არატრადიციული ენერგიის სახეობათა გამოყენების საფუძველზე;

– საჭიროა მანქანათმშენებლობის იმ ქვედარგების უპირატესი განვითარება, რომელთაც შეეძლებათ ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე შექმნილი საწარმოების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეს ეხება ელექტროტექნიკურ მრეწველობას და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებას;

– უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას;

– ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის ქვედარგებიდან სასურველია იმ ქვედარგების განვითარება, რომლის ნედლეული, კადრები და ნაწილობრივ სიმძლავრეებიც ქვეყანას ჯერ კიდევ აქვს;

– ფრიად მნიშვნელოვანია შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოების ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა, რამდენადაც მიმდინარე რეგიონებში ამ სახის პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველაზე უკეთ საქართველოს შეუძლია;

– საშენი მასალების მრეწველობიდან, მიზანშეწონილია ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებული და ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისათვის განკუთვნილი წარმოებების განვითარება;

– ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები რამდენადმე შეზღუდულია სანედლეულო რესურსების სიმცირის გამო. საბჭოთა ხელისუფლების დროს ქვეყანაში ხე-ტყის ნედლეულის 90%-მდე და 600-ზე მეტი დასახელების დამხმარე მასალა რუსეთიდან შემოდიოდა,

საქართველოში არსებული ტყის მასივების ძირითადი დანიშნულება კი ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და საკურორტო ფუნქცია იყო. უკანასკნელ პერიოდამდე კი ტყის მასივები უკონტროლოდ ნადგურდებოდა და საზღვარგარეთ მორებად იყიდებოდა. ახლა მდგომარეობა, შესაძლოა უფრო დამძიმდა კიდევ, რამდენადაც ტყის მასივები უკვე ბითუმად ასეულ ჰექტრობით უცხოელებზე იყიდება ან იჯარით გაიცემა, რაც მისი სრული განადგურების ტოლფასია, რომლის დაშვებაც ადარაფრით ადარ შეიძლება თუ ჩვენ ვაპირებთ თუნდაც განვითარებული ტურიზმის ქვეყნად გადაქცევას

— პერსპექტიულია მსუბუქი მრეწველობაც. განსაკუთრებით ის დარგები, რომლის ნედლეულიც საქართველოს გააჩნია (თუმცა აუცილებელია მათი ხარისხის გაუმჯობესება), კერძოდ ტყავი, მატყლი, ნაწილობრი ბამბა და აბრეშუმი. ასევე უნდა განვითარდეს მსუბუქი მრეწველობის ის დარგებიც, რომლებიც საქართველოსათვის ტრადიციული იყო და ნედლეული გარედან შემოიტანებოდა, მაგალითად საკერვალო მრეწველობის ზოგიერთი დარგი.

— ყველაზე უკეთესი პერსპექტივები კი, ალბათ, გვების მრეწველობას გააჩნია, როგორც ნედლეულის მრავალფეროვანი ასორტიმენტის, ისე ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც ახლა, კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი გახდა და რომლის მიხედვითაც საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის უპირატესობა სრულიად აშკარაა.

— გასათვალისწინებელია მინერალურ და მტკნარ სასმელ წყლებზე მსოფლიო მოთხოვნილების ნაწილის დაკმაყოფილების რეალური შესაძლებლობაც, თუმცა მხოლოდ ჩამოსხმული სახით.

ბიზნესის ბანკითარება

(პროფ. გიორგი ბერულავა)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიზნები მოითხოვს ეკონომიკის ზრდის ტემპების სანგრძლივად შენარჩუნებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა როგორც “საბაზო”, ასევე “სახელისუფლებო ნაკლოვანებების” გამოსწორება, კერძოდ:

1. სახელმწიფო უნდა უარყოს ეკონომიკაში “ჩაურევლობის” პრინციპი და გაატაროს ეკონომიკური განვითარების აქტიური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია საწარმოო სტრუქტურების დინამიკურ გარდაქმნაზე. ამგვარი პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს: იმ სექტორების დადგენას, რომლებიც წარმოადგენს სამრეწველო განვითარების საფუძველს (ეს უნდა იყოს არატრადიციულ ექსპორტზე ორიენტირებული სექტორები, რომლებიც მოიცავს ახალ ტექნოლოგიებს და ცოდნას); განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ორიენტირებული იქნება ინვესტიციების სტიმულირებასა და მოზიდვაზე მრეწველობის შერჩეულ დარგებში.

2. მთავრობამ: უნდა შექმნას ბიზნესგარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის ეფექტიანი მექანიზმების გამოვლენას, კონკურენციის გაძლიერებისა და ახალი საწარმოების შექმნის სტიმულირების მეშვეობით; აწარმოოს აქტიური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რისთვისაც აღადგინოს ანტიმონოპოლიური სააგენტოები; დაადგინოს მკაფიო წესები ბაზრის ყველა მონაწილისათვის; აღმოფხვრას კორუფცია და დაიცვას საკუთრების ხელშეუბლობის პრინციპი.

3. აუცილებელია საგაჭრო და საბაჟო პროცედურების გამარტივება, სასამართლო სისტემის გაუმჯობესება.

4. მთავრობამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ინკესტიციები განათლებაში, განახორციელოს სპეციალური მასტიმულირებელი ღონისძიებები კერძო სექტორისთვის, რათა გააფართოოს მისი მონაწილეობა განათლებაში და შრომითი რესურსების განვითარებაში.

5. შრომითი რესურსების პროდუქტულობის გასაზრდებად აუცილებელია მუშაკთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. შრომის კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომელიც უფლებამოსილებას მიანიჭებს მუშაკებს მათ დამქირავებლებთან ურთიერთობაში. აღნიშნულმა ცვლილებებმა ასევე უნდა უზრუნველყოს დაქირავებელთა მიერ უწყვეტი მომზადებისა და სწავლის შესაძლებლობების მიღება.

6. სასწავლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს სამეწარმეო კულტურა, მათ უნდა შეეძლოთ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ახალი სამუშაო აღგილების შესაბამისად.

7. საჭიროა: სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამაში უნარ-ჩვეულების შეტანა სწავლების ყველა ღონებზე; გამოცდისა და ხარისხის კონტროლის მეთოდების გაუმჯობესება; სწავლებისა და კვლევის მეტი ინტერდისციპლინარულობა; სასწავლო პროგრამების სოციალური და ეკონომიკური რელევანტობა და პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო განათლების დონეზე.

8. ხელი უნდა შეეწყოს მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას კერძო ბიზნესსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის, შეთავაზებულ და მოთხოვნილ კომპეტენციასა და კვალიფიკაციებს შორის შეუსაბამობის გამორიცხვის მიზნით. ამგვარი თანამშრომლობა უნდა გახდეს სასწავლო დაწესებულებების სტრატეგიის ნაწილი, ამავე დროს, კერძო საწარმოებმა უნდა დააფუძნოს სპეციალური საბჭო სასწავლო დაწესებულებებთან ურთიერთობის მიზნით.

9. კერძო საწარმოებმა უნდა გამოიყენონ შრომითი რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდები, რომელიც ორიენტირებულია მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე და სამუშაო ადგილების შესაბამისი კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

10. ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, მიზანშეწონილია გასწიოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის კოორდინაცია შემდეგი ღონისძიებების განსახორციელებლად:

1. მეღვინეობისა და მევენახეობის მენეჯმენტის გაუმჯობესება და მათი საერთაშორისო სტანდარტებამდე მიყვანა. ეს იძლევა საუკეთესო ნიადაგისა და კლიმატური პირობების კაპიტალიზაციის საშუალებას და ადგილობრივი ღვინის წარმოებისგან უპირატესი სარგებლის მიღების შესაძლებლობას. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებები: არსებული ობიექტების, ვენახების, ვაზების სახეობებისა და კლონების იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია, ვენახების რუკების შედგენა; ვაზის დარგვის დაგეგმვა მთელი ქვეყნის

მასშტაბით; კლონების არჩევა; ღვინისა და ვენახების თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების გაცნობა.

2. სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაზრდა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და მიწოდება (მაგალითად, ღვინისა და მევენახეობის ტექნოლოგები, ენოლოგიის ექსპერტები, მარკეტინგის სპეციალისტები) და მეცნიერულ კვლევებსა და ექსპერიმენტებზე დაფუძნებული მოწინავე ცოდნისა და პრაქტიკის განვითარება. ეს არსებითად ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული დონისმიებების განხორციელებას.

3. დამხმარე დარგების სტიმულირება. უნდა შემუშავდეს სპეციალური წამახალისებელი პროგრამა, რომლის მიზანიც იქნება დამხმარე დარგების ფორმირება და სტიმულირება (სასუქების, პესტიციდების, ჰერბიციდების, ბარელების, ბოთლების, ხუფების და საცობების, ეტიკეტის წარმოება და სხვ) ეს დარგები ღვინის პროდუქციის უკეთესი სპეციალიზაციისა და ხარჯების შემცირების საშუალებას იძლევა. მეტიც, ყურძნის მომწოდებლების დაბალეფექტიანობა არის მთავარი ნაკლი, რომელიც აფერხებს მაღალხარისხიანი სტრატეგიების განხორციელებას ღვინის მსოფლიო ბაზარზე. ამ ბარიერის გადასაღაბავად, უნდა შემუშავდეს სპეციალური დამხმარე პროგრამა, რომლის მიზანიც იქნება მევენახეობის ფერმების ეფექტიანობის განმტკიცება. ამ პროგრამამ უნდა მოიცვას ისეთი საქმიანობებიც, როგორიცაა მექანიზაცია, სასუქების გამოყენება, მორწყვა, ვენახების მართვის პრაქტიკა, ორგანიზაცია და სხვ.

4. ქართული დვინის რეალიზაციის ხელშეწყობა მსოფლიო ბაზარზე. პირველ რიგში ამ სტრატეგიის რეალიზება მოითხოვს ქართული დვინის ბრენდის დაარსებასა და მის სტიმულირებას მსოფლიო ბაზრებზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ძლიერი ბრენდის შექმნაზე, ქართული დვინისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაზე და უპირატესობების გაცნობიერებაზე. მეორეც, არსებითად უნდა იზრდებოდეს დვინის წარმოების ეფექტიანობა წარმოების ახალი მეთოდების, თანამედროვე ტექნოლოგიების, მოწყობილობების, მართვის პროცესების, ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დასაქმების გზით. მესამე, ეს სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს ინოვაციებს, მნიშვნელოვან ინვესტიციებს სამეცნიერო კალევებში, მარკეტინგულ დონისძიებებს და ადამიანისეულ კაპიტალს, რაც გააუმჯობესებს სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობას.

საქართველოს ექსამინტ-იმპორტის თანაფარდობის სრულყოფის შესახებ

(აკად. დოქტორი რევაზ ჯავახიშვილი)

1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდის მიუხედავად, მასში ექსპორტის ხვედრი წონა სისტემატურად მცირებოდა. ბოლო წლებში, თუმცა უმნიშვნელოდ, შეიმჩნევა ექსპორტის გამოცოცხლება და ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის გარკვეული გაუმჯობესება. ამჟამად ქვეყნის იმპორტი ექსპორტს მაინც 3-ჯერ და მეტად აღემატება და სისტემატურად მცირდება ექსპორტ-ომპორტის გადაფარვის მაჩვენებელი. ქვეყანას აქვს დიდი უარყოფითი საგაჭრო სალდო, რამაც ცხადია, უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის სავალუტო რესურსებისა და ბიუჯეტის ფორმირებაზე, საგარეო ვალის შემცირებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

2. საქართველოს დაბალი საექსპორტო მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრი დარგი, რომლებიც აღრე განსაზღვრავდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საექსპორტო პოტენციალის დონეს, ამჟამად ფაქტობრივად აღარ (ან ძალზე დაბალ დონეზე) ფუნქციონირებს. სოფლის მეურნეობისა და მისი პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების დაბალი დონის გამო, წლიდან-წლამდე ამ პროდუქტებზე ქვეყნის მოხსენის დაბალანსება ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხდება. ქვეყანას თავისუფლად შეუძლია იმპორტის ბევრი სახეობის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით მთლი-

ანად ან ნაწილობრივ ჩანაცვლება, თუ სრულად იქნება გამოყენებული, უნიკალურ ბუნებრივ-კლიმატურ ფაქტორებზე დაყრდნობით, მათი წარმოების გაფართოების დიდი შესაძლებლობები.

3. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს, ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სწორ განსაზღვრას, მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების – მევნახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის, მეფუტკრეობისა და შესაბამისად, მათი პროდუქციის გადამმუშავებელი დარგების პრიორიტეტულ განვითარებასა და მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციით მსოფლიო ბაზრებზე გასვლის დიდ შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ენერგო- და მასალატევადი დარგების ნაცვლად, ქვეყანაშ კურსი უნდა აიღოს მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაზე, ქართული საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, მისი ღირებისა და ეკოლოგიური სისუფთავის უზრუნველყოფაზე.

4. ბოლო პერიოდში საქართველომ საგარეო ვაჭრობის კურსი დასავლეთის, პირველ ყოვლისა, ევროპაშირის ქვეყნებზე აიღო, რაც უდაოდ სწორი და მისასალმებელია (თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს დსთის, მათ შორის რუსეთის ბაზარზე უარის თქმას). ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ევროკავშირის ბაზარი (განსაკუთრებით სასურსათო) ძალზე მაღალკონკურენტუნარიანი და მომთხოვნი ბაზარია. აქ მოსახვედრად, სატარიფოსთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია არასატა-

რიცო ბარიერების გადალახვა – სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის სისტემების, აგრეთვე ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, სურსათის ეკოლოგიური სისუფთავისა და უგნებლობის სტანდარტების დაცვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რეალურად ეპროკავშირის ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება.

საქართველოს პროდუქციის წარმოების გადიდებაში, ექსპორტის ხელშეწყობასა და სტიმულირებაში მნიშვნელოვანი როლი მისი დაკრედიტების სისტემის სრულყოფამ უნდა შეასრულოს. ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, რომელთაგან აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, შედავათიანი კრედიტების სიმცირე და მათი ხელმისაწვდომობა. ამ პრობლემების დაძლევის მიზნით, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საკრედიტო რესურსების მოზიდვის, მათი ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანი გამოყენების, აგრეთვე, როგორც საერთოდ მეწარმეობის, ისე განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული დარგების შედავათიანი დაკრედიტებისა და დაბეგვრის სისტემის ფორმირებაზე, რაც დიდ სტიმულს მისცემდა ასეთ დარგებში დასაქმებულ ექსპორტიორებს.

მცირე ბიზნესის განვითარება

(პროფ, რამაზ აბესაძე, აკად. დოქტორი ეთერ კაკულია)

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების არ-სებული მდგომარეობის შესწავლიდან ჩანს, რომ ქვე-ყანაში იგრძნობა მცირე ბიზნესის სამართლებრივი ვაკუ-უმი, სახელმწიფო მხარდაჭერი ორგანიზაციების არარსე-ბობა. აღნიშნული სიმნელეების დაძლევის მიზნით:

1. ქვეყანაში უნდა შეიქმნას მცირე ბიზნესის განვი-თარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი, რომელ-მაც უნდა მოიცვას ინსტიტუციონალური, სამართლებ-რივი, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები. სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი სი-ცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, თუ, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული არ იქნება მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმები და მცირე საწარმოს ზომები. ამ დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ არა რომელიმე სხვა ქვეყნის მონაცემებით, არამედ აუცილებელია, გავითვა-ლისწინოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგო-მარეობა.

საქართველოსათვის მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმად მიღებულ უნდა იქნეს: რეალი-ზებული პროდუქციის წლიური მოცულობა; დასაქმებუ-ლთა რაოდენობა; მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობა; მცხოვრებთა რაოდენობა ერთ მცირე საწარმოზე; 1000 მცხოვრებზე მცირე საწარმოთა რაოდენობა; მცირე ბიზ-ნესის ხვედრითი წილი: მშპ-ში, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, საწარმოთა საერთო რაოდენობაში; მცირე ბიზნესის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო თვიური

ხელფასი.

მცირე ბიზნესზე საწარმოების მიკუთვნებისას უნდა ამოვიდეთ ქვეყნის მასშტაბიდან და მისი ეკონომიკური განვითარების დონიდან, ასევე დარგობრივი თავისებურებებიდან. კრიტერიუმებად უნდა ავიღოთ: დასაქმებულთა რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების საკითხის გადასაწყვეტად დარგების მიხედვით უნდა გავიანგარიშოთ ეკონომიკაში ერთ საწარმოზე მოსული ზემოაღნიშულ კრიტერიუმთა სიდიდეები. საშუალო საწარმოს – მივაკუთვნოთ ის, რომლის მაჩვენებლებიც ახლოს იქნება მიღებულ საშუალო სიდიდისთან, მცირე საწარმოს – რომლის მაჩვენებლებიც ნაკლები იქნება საშუალოზე, ხოლო მსხვილს – რომლის მაჩვენებლებიც მეტი იქნება საშუალოზე. პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მონაცემები შეცვალოთ საშუალო სიდიდეების ცვლილების შესაბამისად.

მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმების სიდიდეების გადამოწმება უნდა ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად. იგი შეიძლება მოიცავდეს 5 – 10 წლიან ინტერვალს.

2. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს მცირე ბიზნესის მარეგულირებელი სპეციფიკური საკანონმდებლო ბაზა. საჭიროა მომზადებების კანონთა პაკეტი, რომელიც მოიცავს მცირე ბიზნესის ფუნქციონირებისა და მისი განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს.

ამ კანონებში უნდა განისაზღვროს:

ა) მცირე ბიზნესის არსი, მცირე საწარმოს შეფასების კრიტერიუმები და ზომა; მცირე ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები; მცირე საწარმოთა რეგისტრაციის პირობები, ვადა, წესი, საკუთრების ფორმები, უარი საწარმოს რეგისტრაციაზე და ა.შ.; მცირე საწარმოთა ბუღალტრული ანგარიშების გამარტივებული წესები; მცირე საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა ნატურით, ლიკვიდურობა; ინფორმაციის გამოქვეყნება და კონფიდენციალურობა და ა. შ.

ბ) „კრედიტორთა კავშირის” ფუნქციები, რომელიც გასცემს: დაბალპროცენტიან სესხებს კავშირის წევრებზე ნებისმიერი საქმიანობისათვის როგორც წარმოების განვითარების, ისე კვალიფიკირის ასამაღლებლად და მათი შვილების სწავლა-განათლებისათვის; განახორციელებს კრედიტორთა კავშირის წევრთა ოჯახების კონსულტაციებს ფინანსურ საკითხებზე და სხვ.

გ) ის სფეროები, რომელიც მიეკუთვნება ინოვაციურ საქმიანობას, კერძოდ, სამეცნიერეო, საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობა, გამომგონებლობა, განათლება და სხვ. ასევე სპეციალური ნორმები და ხელშემწყობი ღონისძიებები ინოვაციური საქმიანობის წახალისებისათვის მცირე ბიზნესში.

დ) ტექნოპარკების, ვენტურული კომპანიების საქმიანობა; მცირე ინოვაციური ფირმების ტიპები და მათი საქმიანობა, რომლებიც წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს სამეცნიერო სფეროსა და წარმოებას შორის. სამეცნიერო სფეროსათვის მცირე ინოვაციური საწარ-

მოები (მის) გამოდიან როგორც მეცნიერული პროდუქტის მომხმარებელი და როგორც მეცნიერული შედეგების კომერციალიზაციის საშუალება. წარმოების სფეროსთვის მცირე ინოვაციური საწარმოები გამოდის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი წყარო, რომელიც ამაღლებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

გ მცირე ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების მექანიზმი. საბაზო ეკონომიკა დამყარებულია თავისუფალ სამეწარმეო კავშირებზე, ეს კავშირები, როგორც წესი, ფორმირდება ხელშეკრულებებით ბაზრის სუბიექტებს შორის. მცირე საწარმოების ხელმძღვანელობისთვის ძირითად სიძნელეს წარმოადგენს ფინანსების მოზიდვა, კრედიტის აღება. ამ მხრივ უურადღებას იმსახურებს თავდებობის ინსტიტუტის არსებობა, რაც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას, გაადვილებს მცირე საწარმოთათვის კრედიტის მიღების შესაძლებლობას. ამდენად, ამ კანონში გამკაცრებული უნდა იყოს ვალდებულებები, განსაზღვრული უნდა იყოს კრედიტის თანხა, რასაც დებულობს თავდებით მცირე საწარმო, ამასთან, კანონით უნდა იყოს განსაზღვრული თავდებობის სათავდებო თანხა და თავდებობის განაკვეთი.

გ მცირე საწარმოთა სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივი ნორმები ბაზრის სხვა სუბიექტებთან (მსხვილ საწარმოებთან, სახელმწიფო ინსტიტუტებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან, ურთიერთშორის და სხვა), კერძოდ ლიზინგური, ფრანჩაიზინგული, ვენტურული, საიჯარო ხელშეკრულებები. ასევე უნდა განისაზღვროს ლიცენზირების წესები, რომელიც წარმო-

ადგენს მცირე და მსხვილი ფირმების ურთიერთდამოკიდებულების ორგანიზაციის ფორმას, რომელიც ითვალისწინებს ლიცენზიაზე ლიცენზიის გამცემისაგან უფლების გადაცემას (ტექნოლოგიის გამოყენებაზე, პატენტზე, „ნოუ-ჰოუზე“) ერთჯერადი ან პერიოდული გადასახადის სანაცვლოდ. როგორც წესი, ლიცენზირება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ლიცენზიარია მსხვილი კომპანია, ხოლო ლიცენზიანტი – მცირე საწარმო.

ბ) მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმი, რომელშიც აისახება:

მცირე საწარმოთა განვითარების ხელშემწყობი ფონდებისა და ცენტრების ფუნქციები; მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა; სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა მოიცავდეს მეწარმეების მოსამზადებელ ცენტრებს, ბიზნესინკუბატორებს, ინოვაციურ ცენტრებს ან ტექნოპარკებს, მეწარმეობის მხარდამჭერ ფონდებს.

უნდა დაფუძნდეს „საქართველოს მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი“ და მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას „მცირე ბიზნესის აღმინისტრაცია“.

მცირე ბიზნესის განვითარების ეროვნულმა ფონდმა უნდა მოიზიდოს ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს მათი ეფექტიანი გამოყენება მიზნობრივი პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად; უზრუნველყოს მცირე ბიზნესში მომუშავე მეწარმეები ხელმისაწვდომი, სწრაფი და მაღალხარისხოვანი ფინანსური მომსახურებით; გასცეს პრედიტები შესაქმნელ, ახლად შექმნილ და არსებულ მცირე სა-

წარმოებზე; გასცეს შედავათიანი და უპროცენტო კრედიტი სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ სფეროებში და-საქმებულ მცირე საწარმოებზე.

მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, ოგორც სახელმწიფო ორგანო, უნდა შეიქმნას, მცირე ბიზნესზე დახმარების გაწევის მიზნით, თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნების პირობებში. მისი ფუნქციები უნდა იყოს:

1. მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა;

2. შესაბამისი კანონების მომზადება;

3. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსების განსაზღვრა და წარდგენა მთავრობასა და პარლამენტში, დამტკიცების შემდეგ მისი განხორციელების ორგანიზაცია;

4. მცირე ბიზნესში არსებული მდგომარეობის გაანალიზება და შესაბამის ღონისძიებათა დასახვა;

5. მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის კონტაქტების დამყარების ორგანიზება;

6. საქართველოში მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის განსაზღვრა და მისი კოორდინაცია;

7. მცირე ბიზნესის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

8. მცირე ბიზნესის განვითარების სხვა მასტიმულირებელ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

9. შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

10. დახმარების აღმოჩენა (თავდებად დადგომა) კრედიტების მიღების დროს;

11. ინვესტორების მოძიება მცირე ბიზნესისათვის დასხვების მიღების დროს.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერ ინფრას-

ტრუქტურაში ძირითადად გაერთიანდება:

„მცირე ბიზნესის განვითარების ტექნოპარკი.“ მან უნდა შექმნას მცირე ინოვაციური ფირმების საქმიანობისა და განვითარების ხელშემწყობი პირობები; მოახდინოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგთა სწრაფი კომერციალიზაცია, ინოვაციურ საქმიანობაში ჩართულ მეცნიერთა სტიმულირება და მეცნიერებატევადი წარმოების ორგანიზაცია; ჩაატაროს წვრილი ფირმების კადრებისათვის სემინარები და კონსულტაციები საინოვაციო საქმიანობის პროდუქტებისა და კონსულტაციების გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად; ხელი შეუწყოს მცირე საწარმოებს მაღალი ტექნოლოგიების გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად; ხელი შეუწყოს წვრილი ფირმების იდეების, ტექნოლოგიებისა და პროდუქციის გატანას უცხოურ ბაზარზე; შეიმუშაოს და განახორციელოს მცირე საწარმოთა პერსონალის სწავლების პროექტები მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსური საქმიანობის სფეროში; დაეხმაროს ინოვაციურ მცირე ფირმებს წარმოების ორგანიზებაში; გამოყოს დროებითი სარგებლობისათვის ლაბორატორიული და სამრეწველო ფართობი და სხვ.

„მცირე ბიზნესის განვითარების ბიზნესინკუბატორი“, რომელმაც უნდა შექმნას პირობები, რაც აუცილებელია მცირე საწარმოების განვითარებისათვის მათი დაარსებიდან სრული ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევამდე; შესთავაზოს მცირე საწარმოებს საწარმოო და საოფისე ფართი, გაუწიოს სხვადასხვა პროფესიული მომსახურება; მონაწილეობა მიიღოს მისი წევრი წვრილი ფირმების საინოვაციო პროგრამებში და სხვ.

მცირე ბიზნესის ლიზინგური კომპანია ახორციელებს მცირე საწარმოების უზრუნველყოფას მოწყობილო-

ბებით, ტექნოლოგიებით, შენობა-ნაგებობებით და სხვა საჭირო საშუალებებით შეღავათიანი ლიზინგის საფუძველზე.

მცირე ბიზნესის სასწავლო-საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრი. მის ფუნქციებში შევა მარკეტინგული და კონსალტინგური მომსახურება, პროფესიული კადრების მომზადება და გადამზადება, საინფორმაციო უზრუნველყოფა და სხვ.

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ და მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანმა ეროვნულმა ფონდმა უნდა უზრუნველყონ შეღავათიანი კრედიტების გაცემა მცირე ბიზნესზე. მცირე ბიზნესზე გაცემული კრედიტის საპროცენტო წლიური განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 5–7%-ს; კრედიტის გაცემის ხანგრძლივობა განისაზღვროს 10 წლის ვადით, პირველი ორი წელი კრედიტის დაბრუნებისაგან გათავისუფლებით.

სოფლის მეურნეობისა და მომიჯნავე დარგების განვითარების ზოგიერთი ასპექტი

არსებული პრობლემები თანამედროვე ეფაკზე

(ემდ ვ. ბურდული, აკად. დოქტორი დ. დათუნაშვილი)

1. უკანასკნელ წლებში საქართველოში შეიმჩნევა ნატურალურ გამოსახულებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონის მნიშვნელოვანი დაქვეითაბა. სოფლის მეურნეობის არსებული პოტენციალის გამოყენების მასშტაბები სულ უფრო და უფრო მცირდება. საკვები პროდუქტებისა და ცოცხალი ცხოველების იმპორტის მოცულობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ექსპორტის მოცულობა და, ამასთან, იგი იზრდება უფრო სწრაფად. ცხადია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის შემცირების ტენდენცია ახდენს გავლენას იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ხარისხზე, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეს. უარესდება ექსპორტიმპორტის სალდო, რაც მომავალში აუცილებელს გახდის ახალი საგარეო სესხების აღებას, გააძნელებს უკვე არსებული სახელმწიფო და კერძო ვალდებულებების მომსახურებას. მცირდება შემოსავლები, მიღებული სოფლის მეურნეობაში და სექტორში, რომელშიც წარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, რაც ახდენს გავლენას მოსახლეობის მსყიდველობიტუნარიანობის და შიდა საქონელბრუნვის შემცირებაზე, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებაზე, იმ მაჩვენებლების გაუარესებაზე, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს.

არსებობს შიდა და საგარეო ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ახდენენ გავლენას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დონის შემცირებაზე.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება:

ა) სოფლის მეურნეობისა და მისი პროდუქციის გასაღების ინფრასტრუქტურის ინსტიტუციური და ორგანიზაციული არასრულყოფილება, ასევე, გარკვეულ წილად, იმ საწარმოების ჩამორჩენილობა და დაბალი კონკურენტუნარიანობა, რომლებიც ახდენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას. კერძოდ, ინსტიტუციური და ორგანიზაციული სტრუქტურების არასრულყოფილება ასახვას პოულობს კოოპერატივებისა და შედარებით დიდი ფერმების მცირე რიცხვში, მცირე ფერმებისა და სოფლად საშინაო მეურნეობების ტექნიკური და საკონსულტაციო მხარდაჭერის ორგანიზაციების და საწარმოების (ასევე მათი მხარდაჭერის სხვა ელემენტების) ფაქტიურ უქონლობაში ან მცირე რაოდენობაში. გასაღების ინფრასტრუქტურის განვითარების დროს საკმაო დონით არ ითვალისწინებენ იმ სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის შესაძლებლობებს, რომლებიც წარმოებულია ქვეყნის ფარგლებში. საწარმოების ნაწილი, რომელიც ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას, არაა საკმარისად კონკურენტუნარიანი (ფასების, ტექნოლოგიების დონის მიხედვით) იმ უცხოურ ფირმებთან შედარებით, რომლებიც აწარმოებენ ანოლოგიურ საქონელს, ნაწილი კი ორიენტირებულია უფრო იაფი იმპორტული ნედლეულის გადამუშავებაზე; გარკვეულ ფარგლებში ზოგიერთ დარგში იგრძნობა გადამამუშავებლების მონოპოლიზმი;

ბ) ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის სუსტ ტექნიკურ ადჭურვილობას. იგრძნობა არა მარტო იმ ტექნიკის მწვავე უკმარისობა, რომელიც საჭიროა მიწის დამუშავებისათვის, არამედ იმ ტექნიკისაც, რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოწევისა და პირველადი დამუშავებისათვის;

გ) მცირეა სოფლის მეურნეობის სუბსიდირების მასშტაბები იმ შეზღუდვებთან შედარებითაც კი რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გარკვეული ხასიათის სუბსიდიების გაცემაზე. სხვანაირად რომ ვთქათ, სუსტია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა იმ მიმართულებებით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე, საწვავისა და სასუქების გაძვირებისა და საწარმოების სუსტი ტექნიკური ადჭურვილობის პირობებში;

დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინოვაციური მხარდაჭერის (მაგალითად, შემცირდა მოთხოვნა სანაშენო და სასელექციო მეურნეობების პროდუქციაზე, რაც გამოიწვია მათი მუშაობის ხარისხის ვარდნამ, საფინანსო სახსრების დეფიციტის პირობებში), კერძოდ, სოფლად ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისუსტე (ამასთან ასეთი ხასიათის მხარდაჭერას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები მწვანე შუქს აძლევენ);

ე) ქვეყანაში უმუშევრების, დაბალანაზდაურებადი მომუშავეების დიდი ოდენობის პირობებში დაბალია მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა, რის გამოც ეროვნული ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარების ნაცვლად ის იყენებს იმპორტირებული

ნედლეულის (ხშირად საეჭვო ხარისხის) ბაზაზე დამზადებულ იაფ პროდუქტებს, რის გამოც სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნა მცირდება, მცირდება მისი წარმოება. აქ უკვე მოქმედებაში შედის მსხვილი წარმოების უფექტი. მცირე მეწარმეები სოფლად ვერ ფარავენ დანახარჯებს (ტექნიკურ მომსახურებაზე, საწვავზე და სხვა) შემცირებული ოდენობით რეალიზებული პროდუქციისაგან მიღებული სახსრებით, რის გამოც მათი პროდუქციის თვითდირებულება და, შესაბამისად, სამომხარებლო ფასები იზრდება, რაც იცვევს მოთხოვნისა და წარმოების შემდომ შემცირებას;

ვ) მსუბუქი მრეწველობის გადამამუშავებელი საწარმოების ფაქტიურად უქონლობის გამო მკვეთრად დაეცა მოთხოვნა შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე (მატყლი, ტყავი, აბრეშუმის პარკი). საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის (ხშირად საეჭვო ხარისხის) უკონტროლო იმპორტის ზეწოლის გამო სასოფლო წარმოება გახდა ზარალიანი და რამაც მკვეთრად შეამცირა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა;

ზ) სოფლის მეურნეობის ინვესტიციური პოტენციალის სისუსტე.

საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება:

ა) იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის ზეწოლა შიგა ბაზარზე;

ბ) საგარეო ბაზრებზე სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წინ წაწვეის (მათ შორის, საგარეო ბაზრებზე) სისტემის განუვითარებლობა. არ გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების ის ზომები, რომლებიც ხელმისაწვდომია შიგა ბაზრის დაცვისა და ექსპორტის

მხარდაჭერისათვის იმ შეზღუდვების ფარგლებშიც კი, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ. მაგალითად, საეჭვო ხარისხისა და ადგილობრივი წარმოების ხელისშემშლელი პროდუქციის იმპორტის შეზღუდვა.

გ) საქართველოს სოფლის მეურნეობაშო ამჟამად არ შეიძლება უარის თქმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუბსიდირების იმ ხერხების მაქსიმალური ზომით გამოყენებაზე, რომლებიც დაშვებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის “ყვითელი კალათით”. ასეთი ზომების გამოყენება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას მოკლევადიან ასპექტში დღევანდელ პირობებში. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მისი გადამუშავების პროდუქტების შიდა ბაზრის დასაცავად უნდა გამოყენებულ იქნეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებული ყველა სატარიფო და არასატარიფო მეთოდები და, ასევე, ის მეთოდები, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ არ რეგლამენტირდება.

როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შიდა გასაღების და ექსპორტის ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულირების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმების განვითარებას. ბუნებრივია, ეს უნდა ხდებოდეს კერძო საკუთრების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მისი გადამუშავების პროდუქციის სისტემის მინიმალური სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერით.

სასოფლო-სამეურნო წარმოების მოკლევადიან პერიოდში გამოცოცხლებისა და, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გრძელვადიან ასპექტში მდგრადი განვითარების, მოდერნიზაციისა და შიდა და საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საფინანსო ღონისძიებების გამოყენებას, რომლებსაც მოიცავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის “მწვანე კალათა”. ასეთი მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს: სოფლის მეურნეობის ყველა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმის მოდერნიზაციის სტიმულირება; ინოვაციების, მეცნიერების, განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების დაფინანსება; კონსალტინგური საქმიანობის მხარდაჭერა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა (ან მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობა); სახელმწიფოსა და კერძნო პარტნიორობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა ისეთი საწარმოების ორგანიზაციაში, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ მომსახურებას; სახსრების გამოყოფა მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით; სახსრების გამოყოფა ცხოველების ავადმყოფობებთან და მცენარეების მავნებლებებთან ბრძოლისათვის; სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება.

საჭიროების შემთხვევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაწესებული “ყვითელი კალათის” მოთხოვნების გვერდის ავლა ლეგალურად ზოგიერთ სფეროში შეიძლება სახელმწიფო ან შერეული საწარმოების შექმნის გზით (ტექნიკური მომსახურება, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება). უშუალო მწარმოებელი ამ

შემთხვევაში გადაიხდის მომსახურების საფასურს საბაზო ფასების შესაბამისად და, მაშასადამე, სახელმწიფო მხარდაჭერის ფაქტს ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება. ამიტომ, ადგილობრივი კერძო მეწარმეების წრეებში საფინანსო რესურსისა ან სამეწარმეო ინვესტიციური აქტიურობის (გაუბედაობა დიდი რისკების გამო) უკმარისობის პირობებში საჭიროა საფონდო ბაზარში და საკუთრებაში სახელმწიფო მონაწილეობის გაზრდა, სახელმწიფო წილის შესაძლებისამებრ მომდევნო მიყიდვით კერძო სექტორისათვის. “ყვითელი კალათის” გვერდით ავლის სხვა გზას წარმოადგენს საქონელ-წაწევის კერძო სისტემების განვითარება, სასურსათო კომპლექსის საწარმოების საქმიანობისა და ურთიერთ-მოქმედების პროგრესული ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმების შექმნა. პირველიც და მეორეც კარგად ჩაჯდება წარმოების ორგანიზაციის და მართვის ამჟამად სწრაფად განვითარებად ქსელურ ფორმებში.

გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭიროა:

– აგრარული სექტორისა და ბაზრის მონაწილეების ორგანიზაციის, მართვისა და ურთიერთკავშირების ქსელური ფორმების განვითარება, მათ შორის ზრუნველ-მყოფ ფირმებს (ტექნიკური, მიწის რეკულტივაციისა და სხვა მომსახურების), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამმუშავებელ საწარმოებს, შიდა და საგარეო ბაზრებზე საქონელ-წაწევის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის (საბითუმო ქსელები, გასაღება, ტრანსპორტირება, პროდუქციის შენახვა, მარკეტინგი და სხვა) ურთიერთობათა სფეროში;

- ქსელური ფორმების გამოყენება რეგულირების სახელმწიფო ორგანოების მხრიდანაც, კერძოდ, მწარმოებლებთან და ბაზრის სხვა აგენტებთან მეწარმეების ასოციაციების მეშვეობით ურთიერთკავშირის გზით;
- სამამულო სასურსათო კომლექსის სახელმწიფო მხარდაჭერის (საფინანსო დახმარება, სატარიფო პოლიტიკა, საგადასახადო შედავათები და სხვა) შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენება იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომელიც დაწესებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ;
- სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო მხარდაჭერის იმ ფორმების უფრო ფართო გამოყენება, რომლებიც თავმოყრილია “მწვანე კალათაში”, არაა შეზღუდული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განაწესებით და დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს საფინანსო შესაძლობებებზე;
- სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის გაზრდა (განსაკუთრებით, ტექნიკური მომსახურების სფეროში) სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმატში (ბიზნესის გაძლიერების უბიექტის, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვებს საერთოშორისო ორგანიზაციების მხრიდან), მომდევნო თანდათანობითი გამოსყიდვით კერძო მეწარმეების მიერ;
- სასურსათო პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობის თანდათანობითი ოპტიმიზაციის განხორციელება ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის გათვალისწინებით;

– სამამულო მწარმოებლების მიმართ პროპაგანდის-ტული, მარკეტინგული და საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება იმ მიზნით, რომ მათ გააფართოვონ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და ამისათვის გამოიყენონ სასელექციო, სანაშენო და სხვა შესაბამისი მეურნეობების მომსახურება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბანკითარების

ზოგიერთი ასპექტი

(აკად. დოქტორი ლინა დათვენაშვილი)

სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარებისთვის აუცილებელია:

1. ინვესტიციების მოზიდვა და სახელმწიფოს მიერ ამ დარგისათვის სუფსიდიების გამოყოფა, რაც, უპირ-ველეს ყოვლისა, უნდა მოხმარდეს დარგის რეანიმაციას, ახალი ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვას.

2. სოფლად საკრედიტო კაგშირების შექმნა, ფერმურებისა და ოჯახური მეურნეობებისათვის იაფი კრედიტის გამოყოფა და მისი ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს სოფლად მცირე, წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარების პროცესის დაჩქარებას, ასევე სასოფლო-სამეურნეო სერვისცენტრების ჩამოყალიბებისა და აქტიური ფუნქციონირების სტიმულირებას.

3. სოფლის მეურნეობის მუშაკების, ფერმერების, გლეხურ მეურნეობებსა და შინამეურნეობებში დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს ზუსტ აგროტექნიკურ ვადებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებას, ნიადაგში მინერალური და

ორგანული სასუქების დოზირებულ შეტანას, შეამქი-
მიკატებისა და შესაწამლი საშუალებების ნორმირებულ
გამოყენებასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების
მაღალხარისხს წარმართვას; მაღალკვალიფიციური
სოფლის მენეჯერისა და მარკეტინგის სპეციალისტების
მომზადება-გადამზადების ორგანიზება როგორც სახელ-
მწიფოს, ისე კერძო სტრუქტურების ხელშეწყობით.

4. სანერგე და საჯიშე მეურნეობების აღდგენა და
განვითარება, სადაც გამოყვანილი უნდა იქნეს ახალი
ჯიშები და ჰიბრიდები ქვეყნის ცალკეული მიკრორაიონის,
რეგიონისა და მხარისათვის დამახასიათებელი სპეცი-
ფიკური ნიადაგობრივი, ბუნებრივ-კლიმატური პირობების
შესაბამისად და არა სპონტანურად, როგორც ეს „ჯა-
გერის“ ჯიშის სიმინდის შემთხვევაში მოხდა. იმპორტულ
ჯიშებსა და ჰიბრიდებს ზომიერი სიფრთხილით უნდა მო-
ვეკიდოთ და გამოცდის გავლის შემდეგ დავნერგოთ
პრაქტიკაში.

5. ჩამოყალიბდეს სერვის-ცენტრები, რომლებიც რეა-
ლურ ფასად შეიძენენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა
პროდუქციას (ხორბალს, ყურძენს, ხილს და სხვა) და
ამით შედავათს მისცემენ ფერმერულ, გლეხურ შინა-
მეურნეობებს როგორც მატერიალური ხარჯების, ისე
დროის ეკონომიის თვალსაზრისით. ამასთან, აუცილებე-
ლია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (მარცვლეული,
ყურძენი, ხილი და სხვა) ჩამოყალიბდეს რეალურ და-
ნახარჯებთან მიახლოებული ჩაბარების ფასები, გაფარ-
თოვდეს წისქვილკომბინატებისა და სოფლის მეურნეობის
პროდუქციის შესანახი სამაცივრე ნაგებობების მშენე-
ბლობა, რადგან აღნიშნული კულტურების მაღალი მო-

სავლის პირობებში ფერმერები და გლეხური შინა-
მეურნეობები ვერ ახერხებენ მიღებული მოსავლის რეა-
ლიზაციას, რაც დიდი იმედგაცრუების საფუძველი ხდება.

6. დღეისათვის სოფლად, ისევე როგორც მთელ ქვე-
ყანაში, უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევა, რისთვი-
საც საჭიროა:

ა) სოფლად სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და
მცირე სიმძლავრის გადამმუშავებელი საამქროების ამოქ-
მედების ხელშეწყობა, ისეთი, როგორიც არის სილის,
ბოსტნეულის, ჩაის, მზესუმზირისა და სხვათა გადა-
მუშავება და ხილფაფების, მურაბებისა და წვენების წარ-
მოება. დამხმარე დარგების – სამშენებლო მასალების,
აგურის ქარხნების, კრამიტისა და კირის გამოსაწვავი
საამქროების ამოქმედება.

ბ) ქვეყნის ხელისუფლების მიერ ეფუქტიანი ეკონო-
მიკური და სამართლებრივი პოლიტიკის გატარებით სოფ-
ლად წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარების
ხელშეწყობა და ამით ახალი სამუშაო ადგილების შექ-
მნა.

გ) სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ახ-
ლომდებარე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში
სხვადასხვა სახის მშენებლობაზე, გზების გაყვანასა და
ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებზე დასაქმება, რაც
ხელს შეუწყობს სოფლის შრომითი რესურსების ეფუქ-
ტიან გამოყენებას.

დ) ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამო-
ყენების საფუძველზე ტურიზმის ხელშეწყობა.

7. სოფლის ინფრასტრუქტურის (სოფლად მისასვლე-
ლი გზები, წყალგაყვანილობა, გაზით უზრუნველყოფა და

სხვ.) განვითარება, ძირითადად სახელმწიფოს მხარ-
დაჭერით.

8. როგორც საირიგაციო, ისე სამელიორაციო სის-
ტემების რეაბილიტაცია, რაც სასურველია სახელმწი-
ფოსა და კერძო ბიზნესის წილობრივი მონაწილეობით
განხორციელდეს.

9. მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების
სადაზღვევო სისტემის ფორმირება, რომელიც მოუსავ-
ლიან წლებში დაზღვევს სოფლის მოსახლეობას.

10. ხელისუფლების (როგორც ცენტრალურ, ისე
ადგილობრივ დონეზე) მიერ სოფლად ფერმერული მეურ-
ნეობების, კოოპერატივებისა და ასოციაციების შექმნისა
და განვითარების ხელშეუწყობა. აღნიშნული ორგა-
ნიზაციული ფორმების ნებაყოფლობით ჩამოყალიბება
ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის
მიწის ფართობების ერთიან ფართში გაერთიანებას, მათ
კონცენტრაციას, სადაც ადგილი იქნება შესაბამისი ტექ-
ნიკის გამოყენება, რადგან დაქუცმაცებულ, მცირე ზომის
ფართობებზე ვერ ხერხდება მისი გამოყენება, ხოლო
ხელით შრომისა და გამწევი სამუშაო ძალის (ცხენი,
ვირი, ხარი) გამოყენებით, შინამეურნეობები ვერ აღწევს
მაღალ მწარმოებლურობას.

მიზის რესურსების გამოყენების საპირზები

(პროფ. თ. ჩხეიძე)

მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის
აუცილებელია:

1. აიკრძალოს პრივატიზების გარეშე დარჩენილი მიწის ყიდვა-გაყიდვა და დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში.
2. აიკრძალოს მიწის მიყიდვა არა საქართველოს მოქალაქეებზე
3. აიკრძალოს დასამუშავებლად მიწის ქვეიჯარით გაცემა მცირე ვადით, ვინაიდან ეს გამოიწვევს მიწის ნაყოფიერების დაქვეითებას.
4. მიწის მემკვიდრეობით გაცემის დროს, მიწა გადაუცეს იმ მემკვიდრეს, რომელიც დაამუშავებს მიწას და იცხოვრებს სოფლად.
5. ჩატარდეს საქართველოს მიწის ფონდის ინვენტარიზაცია (გაირკვეს რა რაოდენიბის და რა კატეგორიის მიწებს ფლობს ამჟამად საქართველოს სახელმწიფო).
6. საქართველოს მიწის ფონდში გამოიყოს სარეზერვო მიწები, რომელთა გამოყენება ქვეყნის მთავრობას შეეძლება ექსტრემალურ სიტუაციაში (მაგ. ეკოემიგრანტების დასაკმაყოფილებლად და სხვ).

სოფლის მეურნეობის საჭარმოთა მოდელები (აკად. დოქტორი ზურაბ რევოშვილი)

1. საქართველოს აგრარული მოდელისა და სათანადო სტრატეგიების სწორედ შემუშავებისათვის უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო განვითარების ეროვნული საბჭო, რომელშიც გაერთიანდებიან სექტორის წამყვანი, ავტორიტეტული სპეციალიტები, დამოუკიდებელი ექსპერტები, შინამეურნეობებისა (გლეხები, ფერმერები) აგრობიზნესისა და ხელისუფლების წარმომადგენლები. ეროვნული საბჭოს უპირველეს მიზანს უნდა შეადგენდეს

ქვეყნის აგრარული მოდელისა და სათანადო სტრატეგიული მოდელისა და სათანადო სტრატეგიული შემუშავება, სექტორში არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი დაძლევის რეგიონული თუ ეროვნული (მოკლე, საშუალო, გრძელვადიანი, სექტორული თუ ქვესექტორული) პროგრამების შემუშავება და მთავრობისათვის შეთავაზება.

2. აგრარული პოლიტიკის მოდელებისა და სტრატეგიული შემუშავების განხილვისას და სათანადო ვარიანტების შემუშავებისას უურადდება უნდა გავამახვილოთ, ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებულ ორ განსხვავებულ მიდგომაზე, მიმართულებაზე. პირველი მიმართულება მოიცავს პოზიციას, რომლის მიხედვითაც საჭირო არ არის სახელმწიფოს მიერ აქტიური აგრარული პოლიტიკის განხორციელება, იგი გულისხმობს საბაზო სტიმულების ზემოქმედებით აგრარული სექტორის თვითრეგულირებით განვითარებას. მეორე მიმართულება წინა პლანზე აყენებს სახელმწიფოს განმსაზღვრელ, წამყვან როლს აგრარული სექტორის სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარებაში.

3. სოფლის მეურმეობის განვითარების სტრატეგიული შემუშავებისა და მოდელების ანალიზისას, აქცენტები კეთდება “დუალისტურ” და “ფართო საფუძვლიან” სტრატეგიებზე და მათი განხორციელების შედეგად მიღებულ “ბიმოდელურ” და “უნიმოდელურ” აგრარულ სტრუქტურებზე.

სოფლის მეურნეობის განვითარება რიგ ქვეყნებში (იაპონია, ტაივანი, გარკვეულ წილად აშშ და სხვ) ეფუძნება “ფართო საფუძვლიან” სტრატეგიას, რომლის მიზანია მიწის ნაყოფიერებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება, ფერმერული მეურნეობების უმეტესობაში, განსაკუთრებით აქცენტი კეთდება მცირე

და საშუალო ზომის ფერმერულ მეურნეობებზე. “ფართო საფუძვლიანი” სტრატეგია განაპირობებს “უნიმოდელური” (ერთმოდელიანი) სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის დამკავიდრებას და გაძლიერებას. იგი ეხმარება მცირე და საშუალო ზომის ფერმერებს, ხელს უწყობს სამუშაო ძალის მაქსიმალურად ჩართვას და მიწის დაზოგვით წარმოების ზრდას. ამგვარი სტრატეგია განაპირობებს ადგილად გავრცელებადი ტექნოლოგიური სიახლეების დამკავიდრებას და მეურნეობების უზრუნველყოფას ეფექტური წარმოების საშუალებებით. ამ ტექნოლოგიებს აქვთ ტენდენცია სწრაფად გავრცელებისა მცირე და საშუალო ზომების ფერმებს (მეურნეობებს) შორის. ამრიგად, ეს სტრატეგია მოწოდებულია მოიცვას უმეტესი ნაწილი მცირე და საშუალო შინამეურნეობებისა (ფერმებისა), რომლებიც არიან მნიშვნელოვან უმრავლესობაში.

“დუალისტური” სტრატეგიისათვის დამახასიათებელია “ბიმოდელური (ორმოდელიანი) აგრარული სტრუქტურა”. ამგვარი სტრატეგია აქცენტირებულია მსხვილი მიწათმფლობელობის ხელშეწყობაზე და იგნორირებს, არ ითვალისწინებს მცირე, გლეხური მეურნეობების პრობლემებსა და საჭიროებებს. ქვეყნებს, რომლებიც ახორციელებენ “დუალისტურ” სტრატეგიას, მიეკუთვნებიან მექსიკა, ბრაზილია, კოლუმბია და რიგი სხვა ლათინური ამერიკის ქვეყნებისა. აღსანიშნავია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ამგვარ სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიას ახორციელებენ სოფლად, ვერ ახერხებენ ფართოდ გავრცელებული სიღარიბის დაძლევას და მთლიანად სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

საქართველომ, სოფლად არსებული მდგომარეობისა და პრობლემების გათვალისწინებით, უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს აგრარული განვითარების “ფართო საფუძვლიანი” სტრატეგია და ხელი შეუწყოს სოფლად “უნიმოდელური” აგრარული სტრუქტურის დამკვიდრებას, მცირე და საშუალო ზომის შინამეურნეობების მდგრად განვითარებას, სოფლად სიღარიბის შემცირებას და მთლიანად ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

4. აგრარული მოდელის და სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტებს შეადგენენ: მიწის ბაზრის რეგულირების ფორმები და მექანიზმები, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების პრინციპები, საკუთრებისა თუ ფლობის ფორმების განსაზღვრა, სასოფლო მეურნეობების კუთვნილი სავარგულების მინიმალური და მაქსიმალური ზომების დადგენა და მეურნეობების ოპტიმალური ზომების ფორმირებისათვის ხელშეწყობა. დასავლეთ ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა, ძირითადად, უარყოფითადაა დამოკიდებული იურიდიულ პირებზე მიწის გაყიდვის საკითხისადმი. უმეტეს ქვეყნებში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, შრომით გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას და ა.შ.

5. მიწის შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ საქართველოს აგრარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, შინამეურნეობათა საშუ-

ალო ზომის ოპტიმალურად გადიდებისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, იგი უნდა ზღუდავდეს ოპტიმალურ მეურნეობაზე უფრო დიდი მეურნეობებისა და შესაბამისად მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნასა და ფუნქციონირებას. სავარგულების პრივატიზებისა თუ ყიდვისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლად მცხოვრებ და სოფლის-მეურნეობრივი გამოცდილების მქონე ფიზიკურ პირებს.

6. მოცემულ ეტაპზე საქართველოში, გამომდინარე არსებული ვითარებიდან და სასოფლო შინამეურნეობების მდგრადი განვითარების აუცილებლობიდან, საჭიროა მიწების გადანაწილების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს შინამეურნეობათა საშუალო ზომის გადიდებას 2-3 ჯა-მდე. ამავე დროს, ადგილობრივი მიწის რესურსებიდან გამომდინარე, რეგიონებისათვის დიფერენცირებულად უნდა განისაზღვროს მეურნეობების საშუალო, მაქსიმალური თუ მინიმალური ზომა, დადგინდეს იჯარით გასაცემი მიწის ზღვრული სიდიდე. სახელმწიფო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური კულტურებისა და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობისა და პროდუქტულობის გადიდებას. მან აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შინამეურნეობებისათვის განკუთვნილი აგროტექნოლოგიების კვლევების განმახორციელებელი ინსიტუტებისა თუ სამეცნიერო ცენტრების დაფინანსებას, რომელთაც რეგიონებსა თუ რაიონებში ექნებათ საცდელ-საღემონსტაციო სადგურები, რომლებიც განახორციელებენ სასელექციო სამუშაოებს, ჯიშთა გამოცდას, შერჩევას, დარაიონებასა და გავრცელებას. საჭიროა ეტაპობრივად შეიქმნას და განვითარდეს სოფ-

ლების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების, “ექსტენშენ” სერვისების და ტექნიკური მომსახურების რაიონული ცენტრები, რომლებიც უპირატესად ორიენტირებულნი იქნებიან მცირე და საშუალო შინამეურნეობების მომსახურებაზე, ხელს შეუწყობენ ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გავრცელებას, დაეხმარებიან ფერმერებსა და მათ გაერთიანებებს ტექნიკის შეძენასა და რემონტის განხორციელებაში, ახალი ჯიშებისა და კულტურების დანერგვაში, წარმოების შიდა და გარებაზრდებზე სწორ ორიენტაციაში.

7. სახელმწიფომ უნდა ასტიმულიროს მცირე და საშუალო შინამეურნენობების გაერთიანება, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება. ამგარი სასოფლო შინამეურნეობების გაერთიანებები უნდა უადგილებდნენ მის წევრებს, ერთობლივად კრედიტების ადგიას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო მასალების ერთობლივ შეძენას, ერთგვაროვანი ნედლეულის წარმოებასა და წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციას.

8. რეგიონებში უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო განათლების სისტემა, დაწყებული სასოფლო სკოლებით, სადაც მოსწავლე დაეუფლება რიგ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს, დამთავრებული სპეციალიზებული პროფესიული ტექნიკურებითა და სასწავლო ინსტიტუტებით. საჭიროა მომზადდეს და გადამზადდეს მადალი კვალიფიკაციის აგრონომები, ვეტერინარები და ზოოტექნიკოსები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან

სასოფლო შინამეურნეობების დახმარებაზე, მცირე და საშუალო მეურნეობების საჭიროებებზე.

შარმოვაის ტექნოლოგიის სრულყოფის პროგლობი
საქართველოს მეცხვარეობაში
(აკად. დოქტორი თენგიზ ქავთარაძე)

წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის პროგლობის გადაწყვეტა საქართველოს მეცხვარეობაში ბევრი აქტუალური საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. საჭიროა:

ა. ცხვრის სადგომების გაუმჯობესება; ცხვრის გადასარეკო ტრასების მოწესრიგება; ცხვრის წველისა (მაგალითად, ფირმა „ალფადავალი“ გადასატან საწველი აპარატებს უშვებს. ამ საწველი აპარატით ერთ საათში ორასამდე ცხვრის მოწველი შეიძლება, ხელით კი მხოლოდ ოცისა) და პარსვის მექანიზაციის სრულყოფა; საკვების მომზადების მექანიზაციის გაუმჯობესება; შრომის ორგანიზაციის სრულყოფა (ცხვრის სადგომების ავტომატიზაცია და მექანიზაცია დას სხვ.).

ბ. სათიბში მისასვლელი გზების აღდგენა ან ევროპის ალპური ქვეყნების მსგავსად, მთებში საბაგირო გზების მოწყობა.

გ. თანამედროვე ტიპის სანაშენე და ხელოვნური დათესვლის სადგურების მშენებლობა.

დ. ქარხანის აშენება, რომელიც გამოუშვებს უნივერსალურ მექანიზმებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც ცხვრის სადგომების შრომატევადი პროცესების მექანიზაციის მიზნით, ისე სათიბ-სამოვრების მოსავლელად და სხვა მრავალი სასოფლო-სამეურნეო

სამუშაოს შესასრულებლად. მაგალითად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტს ქუთაისის მცირებაბარიტიანი ტრაქტორების საწარმოს კოლექტივთან ერთად დამუშავებული პქონდა პატარა უნივერსალური ტრაქტორი „რიონი“ მრავალი საკიდ-საბმელი, იარაღ-მოწყობილობით. ის გათვალისწინებული იყო 30-ზე მეტი მძიმე სამუშაოს შესასრულებლად (ხვნა, თოხნა, სარეველებისაგან გაწმენდა, ბორცვების ჭრა, ორმოების ამოთხრა, თიბგა, ფხექა, მოგროვება, ტრანსპორტირება, ზიდვა და მრავალი სხვა).

გ. აიგოს უახლეს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ცხვრის გასაბანი აბაზანაები და საობობ-სადეზინფექციო მოწყობილობები.

გ. აღდგეს საზამთრო საძოვრების გაწყლოვანების სისტემა, რომელიც დღეისათვის მთლიანად გამოსულია მწყობრიდან

ზ. საზამთრო საძოვრების გაწყლოვანება. ამჟამად ბუნებრივი ზამთრის საძოვრების გაწყლოვანების სისტემა მთლიანად გამოსულია მწყობრიდან.

თ. დაიწყოს მატყლის გადამუშავება. საქართველოში აღარ ფუნქციონირებს თბილისის მაუდგამვოლოს კომბინატი, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, ცხაკაიასა და დუშეთის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკები და სხვა. აღნიშნული მიზეზების გამო რესპუბლიკაში წარმოებული მატყლი არაა მოთხოვნადი და მისი საბაზო ფასი ქვეყანაში ძალზე დაბალია. რესპუბლიკას არ გააჩნია მატყლის ლაბორატორია; არ წარმოებს მატყლის სტანდარტიზაცია. ამიტომაც, უცხოელი მატყლის დამამზადებლები არ ინტერესდებიან საქართველოდან მატყლის გატანით. ამით კი

მეცხვარეები ზარალდებიან. მატყლის მიღება ჩაბარება უნდა განხორციელდეს წმინდა მატყლის, ნახევრად წმინდა მატყლის, ნახევრად უხეში მატყლის ახალი საერთაშორისო სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების საფუძველზე.

ი. შეიქმნას მეცხვარეობის საჩვენებელი ფერმა და სხვა.

სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარბაზის განვითარება

(ემდ ვახტანგ ბურდული, აკად. დოქტორი თენგიზ ქავთარაძე)

1. პოსტსაბჭოურ საქართველოში ყველაზე მეტად დაზარალდნენ მსუბუქი მრეწველობის ის დარგები (საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ავეჯის მრეწველობები), რომლებში წარმოება დაკავშირებულია შესაბამისი სასოფლო-სამეორნეო და ტყის მეურნეობის პროდუქციის (ტყავის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, ხის) გადამუშავებასთან. მრეწველობის ამ დარგებში წარმოება პრაქტიკულად ნულოვან დონემდე შეიკვეცა. ეს გამოწვეული ამ დარგებში როგორც ტექნოლოგიების მოძველებით, გასაღების შესაძლებლობების დაქვეითებით, ისე მეწარმეთა ფენის არარსებობით, რომელსაც პრივატებულის პროცესის შემდეგ წარმოების მოდერნიზაციის უნარი ექნებოდათ. შეწყდა წარმოება იმ საწარმოებშიც, რომლებიც უშვებდნენ მსოფლიო სტანდარტების მიხედვით კონკურენტუნარიან და ადვილად გასაღებად პროდუქციას (მაგალითად, აბრეშუმის საქსოვი), რადგანაც იმ პერიოდში არ აღმოჩნდნენ მეწარმეები, რომლებსაც ახალ საბაზრო ურთიერთობებში ასეთი წარმოებების მართვის

უნარი ექნებოდათ. ბუნებრივია, ამან მოახდინა ნეგატიური გავლენა შესაბამის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, იგი გახდა ზარალიანი და დაიწყო შეკვეცა. დაქვეითდა ასეთი ნედლეულის ხარისხი (მაგალითად, მეცხვარეობაში მატყლის, რის გამოც ის ვერ საღდება ვერც შიდა, ვერც საგარეო ბაზარზე) და ა. შ.. ამ დორმდე პრაქტიკულად ვერ მოხერხდა მრეწველობის აღნიშნულ დარგებში წარმოების გამოცოცხლება, რაც ზრდის ქვეყნის უარყოფით სავაჭრო საღდოს და უმუშევრობას. ამასთან, ამ დარგებში ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოების აღდგენის ერთეული შემთხვევები, შესაბამისი კადრების, კონსალტინგური და ინჟინერინგული მომსახურების უქონლობის გამო, სწრაფად ვერ უზრუნველყოფენ ხარისხის შესაბამისი დონის მიღწევას (მაგალითად, ამაზე მეტყველებს ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკის გამოცდილება, რომლის პროდუქციაც თანდათან უმჯობესდება).

2. ახალი მთავრობა აპირებს მნიშვნელოვანი სახე-სრების მობილიზაციას სოფლის მეურნეობაში განთავსებისათვის, მაგრამ მათი ეფექტიანი უკუგება შეიძლება მნიშვნელოვნად შეიზღუდოს, თუ პარალელურად არ მოხდება იმ წარმოებების ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაცია, რომლებიც აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებასა და საბოლოო პროდუქტს აწარმოებენ. ამიტომ მსუბუქი მრეწველობის აღნიშნული დარგებისა და მათთვის ნედლეულის მიმწოდებელი სასოფლო-სამეურნეო დარგების კოორდინირებული განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა სპეციალური პროგრამის შემუშავება. ასეთ პროგრამაში, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული და ჩამოყალიბებული უნდა იქნეს:

- ა) ასეთი განვითარების მიზნები, შესაბამისი დარგებისა და დამხმარე თრგანიზაციების საქმიანობის განვითარების კონკრეტული საჭირო მიმართულებები;
- ბ) საჭირო სექტორებში (მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგები; საჭირო კონსალტინგური, ინჟინერინგული, გასაღების ხელშეწყობისა და სხვა სტრუქტურები) მეწარმეობის განვითარების მიმართულები;
- გ) ღონისძიებები მიმართული შესაბამისი ბიზნეს-სტრუქტურებისა და, ასევე, სოფლად მცირე საშიანო მეურნეობების მხარდაჭერაზე და სტიმულირებაზე;
- დ) შიდა ბაზრის დაცვისა და პროდუქციის შესაბამისი სახეების ექსპორტის მხარდაჭერის მექანიზმები (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სოფლის მეურნეობის შესახებ შეთახმებისა, საფეიქრო პროდუქცის შესახებ შეთანხმებისა და სხვა მიწერილობებისა და მიზანდასახულობების გათვალისწინებით);
- ე) წინადადებები საზოგადოებრივი ბიზნესსტრუქტურების (გაერთიანებების, ასოციაციების) შექმნის შესახებ აღნიშნულ დარგებს შორის საწარმოო ურთიერთობების მოწესრიგებისა და პროდუქციის გასაღების კოორდინაციის მიზნით. ამასთან, ერთი და იგივე მეწარმე შეიძლება რამდენიმე ასოციაციის წევრი იყოს (მაგალითად, ნებისმიერი ფერმერი აწარმოებს რამდენიმე სახის ნედლეულს (მაგალითად, ხორცს, რძეს, ტყავს, მატყლს, აბრეშუმის პარკს და ა. შ. იმისათვის, რომ შეიქმნას ეფექტუანი წარმოება კონკრეტული ნედლეულის გადამუშავების მთელ სტადიაზე, შესაბამისი სახის მეწარმეებს შორის უნდა ხდებოდეს კოორდინაცია, ამიტომ ყოველი საბოლოო

პროდუქტის ჭრილში უნდა არსებოდეს მეწარმეთა ასო-
ციაცია, რომელშიც განისაზღვრება კოორდინაციის საჭი-
რო საკითხები, ზუსტად ასეთი ტიპის ასოციაციები კონ-
კრეტული საკვები პროდუქტების მიხედვით არსებობს,
მაგალითად, კანადაში. მითუმეტეს, მსგავსი ტიპის ასო-
ციაციების არსებობა საჭიროა საქართველოში, სადაც
დღის წესრიგში დგას მრავალი წარმოების სახეობის
რეანიმაცია).

ეკოლოგიური პოლიტიკა და ტურიზმის განვითარება

ეკოლოგიური პოლიტიკა

(აკად. დოქტორი მამუკა ხუსკივაძე)

საქართველოში ეკოლოგიური პოლიტიკის სრულყოფისა და მდგრად უკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის მიზნით აუცილებელია:

1. გადასახადებში გარემო ბუნების დეგრადაციისა და გაჭუჭყიანებისათვის რეალურად მიყენებული ეკონომიკური ზარალის გათვალისწინება;

2. ეკოლოგიურად ორიენტირებული ეროვნული ანგარიშების (ე.წ. „მწვანე“ ანგარიშების) სისტემის შემუშავება და რეალიზაცია;

3. ნარჩენების გამოყენებაზე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებასა და მცირენარჩენიანი და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების, აგრეთვე სპეციალური მოწყობილობების (რომლებიც ამცირებენ გარემო ბუნებაზე მავნე ზემოქმედებას) დანერგვაზე საგადასახადო შეღავათების დაწესება;

4. ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და გარემო ბუნების დაცვაზე მიმართული ღონისძიებების დაკრედიტებაზე შედავათების დადგენა, გარემოსდაცვითი საქმიანობის სუბსიდირება;

5. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენებისათვის გადასახადებიდან აკუმულირებული ფულადი სახსრების გამოყენების მექანიზმის სრულყოფა;

6. ეკოლოგიურად სახიფათო პროდუქციის წარმოებისათვის ფინანსური სანქციების მექანიზმის, ხოლო ეკო-

ლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლებისათვის შეღავათებისა და სუბსიდირების სისტემის შექმნა;

7. ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის (მათ შორის გარემო ბუნების გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის) ფორმირება და ამ საქმიანობისათვის სპეციალიზებული ფირმებისა და ცენტრების შექმნა, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში ექსპერტული მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბება;

8. ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინება პრივატიზაციის პროცესში;

9. გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით სახელმწიფოს მიერ მიღებული პროგრამებისა და ღონისძიებების პრიორიტეტული დაფინანსების უზრუნველყოფა;

10. გარემოსდაცვითი და რესურსდამზოგველი საქმიანობის ინოვაციური მექანიზმის რეალიზაცია;

11. ეკოლოგიური უსაფრთხოების, მოსახლეობის საქმიანობისა და ცხოვრების ჯანსაღი გარემოს ფორმირებისათვის ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების ხელშემწყობი სახელმწიფო პროექტების განხორციელება, რომელიც უნდა დაეყრდნოს განათლების სფეროში ეკოლოგიური ცოდნის პრიორიტეტულობისა და აუცილებლობის პრინციპებს;

12. ეკოლოგიური კოდექსის შემუშავება;

13. საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება.

ტურიზმის ბანგითარება

(აკად. დოქტორი ქეთინო ქველაძე)

ტურიზმი დღეს გვევლინება როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ამ მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდა, პრობლემები მაინც მრავალი რჩება.

დღეს საქართველოში ტურიზმი ვითარდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და განვითარების ეროვნული კონცეფციის გარეშე, ასე ვთქვათ ვითარდება ქაოტურად. კვლავ პრობლემად რჩება ფასებისა და მომსახურების დონის ერთმანეთთან შეუსაბამობა. მომსახურების დონე დაბალია (განსაკუთრებით პროვინციების პატარა სასტუმროებში), ხოლო მომსახურების ფასები ძალიან მაღალი. ასევე პრობლემად რჩება ტურიზმის ყველა დონეზე პროფესიული კადრების ნაკლებობა, მათი სწავლებისა და გადამზადების არსებული მდგომარეობა. აუთვისებელია ქვეყნის ტურისტული პოტენციალის დიდი ნაწილი.

საქართველოში ტურიზმის წარმატებული განვითარებისათვის საჭიროა:

1. შესწავლილ იქნეს ქვეყნაში არსებული ყველა ტურისტული რეგიონის დღევანდელი რეალური ეკოლოგიური მდგომარეობა.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გარემო ბუნებაზე ზრუნვას და მის დაცვას, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ტურიზმის წარმატება ბუნებრივ ტურისტულ რესურსებსა და მის უნიკალურობაზეა დამყარებული.

3. განისაზღვროს თუ რომელი ტურისტული მიმართულების (აგროტურიზმი, დვინის ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი და ა.შ.) განვითარება იქნება უფრო პრიორიტეტული ამა თუ იმ ტურისტულ რეგიონში.

4. საქართველოს ტურისტულ რეგიონებში აუცი-ლუბელია მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესწავლა როგორც ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ისე ისტორიული თვალსაზრისით, რათა შემდგომარ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის დაპირისპირება ტურისტული კომპანიებისა და სახელმწიფოს ინტერესებთან.

5. პროფილირებული ტურისტული სააგენტოების გახსნა ტურისტულ რეგიონებში.

6. რეგიონებში არსებული კერძო საოჯახო სასტუმროების შემოსავლები გაცილებით მაღალი იქნება თუ ისინი ტურისტებს შესთავაზებენ ადგილობრივი წარმოების ნატურალური კვების პროდუქტებს და არა იმპორტულ, გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს. შემოსული ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ ადგილობრივი წარმოების ნატურალური კვების პროდუქტებს და მზად არიან მეტი გადაიხადონ.

7. ტურიზმის განვითარების სწორი პოლოტიკის განსაზღვრისათვის აუცილებელია მისი განვითარების განხილვა ეკონომიკის სხვა დარგებთან უშუალო კავშირში (მაგ. კვების მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ.).

ეპონომიკის საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის შესახებ

(ემდ გ. ბურდული)

1. ზოგჯერ დეცენტრალიზაცია არასწორადაა გაგებული. მაგალითად პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანა დეცენტრალიზაციად მიიჩნევა. რაც არა სწორია. რეალურად კი დეცენტრალიზაცია არის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ ცენტრიდან ადგილობრივი წარმონაქმნების სახელისუფლებო ორგანოებზე ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ნაწილის გადაცემის პროცესი. სახელმწიფო სექტორის ფარგლებში დეცენტრალიზაცია წარმოადგენს ცენტრალური ორგანოებისაგან მართვის ფუნქციების ნაწილის გადაცემას ადგილობრივი და რეგიონული ოფიოტურების ორგანოებისათვის, მართვის ქვემდგომი ორგანოების უფლებამოსილებების წრის გაფართოებას ზემდგომი ორგანოების ხარჯზე. დეცენტრალიზაცია საჯარო სექტორში, ასევე შეიძლება ნიშნავდეს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების მიერ მართვის ზოგიერთი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების დელეგირებას კერძო ორგანიზაციებზე. მაგალითად, საბინაო ასოციალციებისა ან კომუნალური მომსახურების საწარმოებისათვის და სხვ.

დეცენტრალიზაციის პროცესების განხორციელებისა და დეცენტრალიზაციის დონის განსაზღვრისას განვითარებულ ქავენებში გამოდიან ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, სოციალური სამართლიანობის ზრდისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესებიდან.

2. ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში დეცენტრალიზაციის პროცესი დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში და ამ ქვეყნებში ამჟამად შექმნილია საჯარო ადმინისტრაციის დეცენტრალიზაციის მეტნაკლებად თანამედროვე მოდელები, მაგრამ პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტესობაში, მათ შორის, საქართველოშიც, ინტენსიური დეცენტრალიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში დეცენტრალიზაციის ძირითადი მიზნები მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფოს საზოგადოებრივი ინსტიტუტების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის უფლებამოსილებების ისეთი გამიჯვნა, რომელშიც ჩადებულია მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფი მექანიზმები; ტერიტორიული წარმონაქმნების საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; სუსტად განვითარებულ და დეპრესიულ რეგიონებში და ადგილობრივ წარმონაქმნებში ინფრასტრუქტურის (კომუნალური, საკომუნიკაციო) განკარგვის, დაფინანსებისა და მართვის, ასევე, საერთო დანიშნულების დარგების განვითარების რეგულირების მექანიზმების (პროგრამული კოორდინაცია, წამახალისებელი ფისკალური მეთოდები, სუბსიდირება) სრულყოფა; მცირე და საშუალო ქალაქების განვითარების სტიმულირებისა და მათი ტერიტორიულ ცენტრაბად (მიზიდულობის ცენტრებად) ჩამოყალიბების ხელშეწყობის ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბება; აგრარული ტერიტორიული წარმონაქმნების განვითარების (სოფლად კომუნალური მომ

სახურების გაუმჯობესების, მიწების რეკულტივაციისა და ა.შ.) რეგულირების მექანიზმების სრულყოფა და სხვა.

საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ამ მიზნებზე ორიენტაციასთან ერთად, დეცენტრალიზაციაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელებისას უურადღება გამახვილებული უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, რეგიონული და ადგილობრივი წარმონაქმნების შემდეგი ფუნქციების გაძლიერებაზე: საქართველოში ამ-ეამად სოფლის მეურნეობაში ბევრი ფაქტიურად დაუსაქმებული პირია, რომელთა რაოდენობა გაიზრდება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან ერთად, ამ პირობებში კიდევ უფრო იზრდება რეგიონული ქალა-ქების, უპირველეს ყოვლისა, რეგიონული ცენტრების (რე-გიონული მიზიდულობის ცენტრების) სწრაფი ეკონო-მიკური განვითარების მნიშვნელობა (რათა მოხდეს ამ ქალაქებში სოფლიდან მოსახლეობის გარკვეულ ზომებში მიგრაცია რეალური დასაქმების მიზნით). რეგიონულ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლებამო-სილებები და ფუნქციები ასეთი ცენტრების უზრუნ-ველყოფი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის; იმი-სათვის, რომ რეგიონული ცენტრები უფრო მიმზიდველი გახდეს ბიზნესის განვითარებისათვის, საჭიროა რეგიონ-ების დონეზეც ხელისუფლებას ჰქონდეს ბიზნესის გან-ვითარების პროგრამირების, მისი სტიმულირებისა და მხარდაჭერის ბერკეტები.

3. მსოფლიოში არსებობს საბიუჯეტო დეცენტრა-ლიზაციის ორი ძირითადი ალტერნატიული სქემა – ფრანგული და გერმანული. სხვა ქვეყნების საბიუჯეტო სისტემები წარმოადგენენ შერეულ ვარიანტებს, პირველი

ან მეორე სქემის ელემენტების უპირატესი გამოყენებით. ფრანგულ სისტემაში ქვედა სისტემების დონეებზე ბიუჯეტების შევსება ხდება უმეტესად ზემდგომი ბიუჯეტებიდან ტრანსფერების ხარჯზე. ადგილობრივი გადასახადებით და მოსაკრებლებით შემოსული ოანხები შეადგენებ ტერიტორიული (დეპარტამენტების და კომუნების) ბიუჯეტების შედარებით ნაკლებ ნაწილს. გერმანიაში კი ძირითად სახელმწიფო გადასახადებიდან საშუალო და ქვედა დონეებზე არსებობს ფიქსირებული ანარიცხები ადგილობრივ ბიუჯეტში, რომელთა განაკვეთები იშვიათად გადაისინჯება. ცენტრალური ტრანსფერების როლი შედარებით უმნიშვნელოა. არსებობს ასევე საფინანსო დახმარებების პრაქტიკა შედარებით “მდიდარი” რეგიონებიდან შედარებით “ჩამორჩენილი” რეგიონებისათვის). პირველი ტიპის სქემის უპირატესობა ის არის, რომ უფრო ადვილია სახსრების ცენტრალიზებული გადანაწილება უფრო “მდიდარი” ტერიტურიული წარმონაქმნებიდან უფრო “დარიბ”, ჩამორჩენილ ან დეპრესიულ წარმონაქმნებში. მეორე სქემის ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ იზრდება ადგილობრივი და რეგიონული მართვის ორგანოების დაინტერესება წარმოებისა და ბიზნესის განვითარებაში საქაუწყებო ტერიტორიაზე, რაც მათ უბიძებს განვითარების შესაბამისი მასტიმულირებელი მექანიზმების გონივრული გამოყენებისაკენ.

საქართველოში, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე, მისაღებია ფრანგული ტიპის მოდელი (რეგიონებს შორის ეკონომიკური განვითარების მოხედვით დიდი განსხვავების გამო), შემდეგ შესაძლებელი გახდება ზომიერად შერეული ვარიანტის გამოყენება.

4. დეცენტრალიზაციის ტენდენციად, ასევე, მიიჩნევა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბიზნესის მხარდაჭერის ფუნქციების გაფართოება. რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, მსოფლიო გამოცდილების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს: მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამების განხორციელების სტიმულირება; მცირე და საშუალო საწარმოების შექმნისა და განვითარების წახალისება; კერძო სექტორის დარგობრივი ასოციაციებთან ტერიტორიული ორგანოების მონაწილეობით მეწარმოების “ინკუბატორების”, საინვაციო და გადამზადების ცენტრების შექმნა და ა.შ.

ს ა რ ჩ ი ვ 0

<p>საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ბანკითარების ზოგადი ასამართები (პროფ. რამაზ აბესაძე)</p> <p>შეცდომები, საფრთხეები და მათი დაძლევის რეკომენდაციები (აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა)</p> <p>ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება და საბიუჯეტო ფინანსურიზაციის განვითარება (პროფესორი რომელი ასათიანი)</p> <p>ბანკითარების ნეოინდუსტრიულ ტიაზე გადასცლა (ემდ ვახტანგ ბურდული)</p> <p>მრეწველობა (აკად. დოქტორი ნანული არევაძე)</p> <p>ბიზნესის ბანკითარება (პროფ. გიორგი ბერულავა)</p> <p>საქართველოს ესპარტ-იმპორტის თანაზარდობის სრულყოფის შესახებ (აკად. დოქტორი რევაზ ჯავახიშვილი)</p> <p>მცირე ბიზნესის ბანკითარება (პროფ. რამაზ აბესაძე, აკად. დოქტორი ეთერ კაცულია)</p> <p>სოცლის მეურნეობისა და მომიჯნავე დარბების ბანკითარების ზოგიერთი ასამართი</p> <p>არსებული პრობლემები თანამედროვე ეტაპზე (ემდ ვ. ბურდული, აკად. დოქტორი ლ. დათვანაშვილი)</p> <p>სასოფლო-სამეურნეო ზარმოების ბანკითარების ზოგიერთი ასამართი (აკად. დოქტორი ლინა დათვანაშვილი)</p>	<p style="margin-bottom: 20px;">3</p> <p>33</p> <p>43</p> <p>53</p> <p>60</p> <p>64</p> <p>69</p> <p>72</p> <p>80</p> <p>88</p>
--	---

მიზის რესურსების გამოყენების საკითხები (პროფ. ო. ჩხეიძე)	91
სოფლის მეურნეობის საჭარმოთა მოდელები (აკად. დოქტორი ზურაბ რევიშვილი)	92
ჭარმოების ფესნოლოგიის სრულყოფის კრონგებები საქართველოს მეცნევარმობაში (აკად. დოქტორი თენგიზ ქავთარაძე)	98
სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მოწველობის მომიჯნავე დარბების განვითარება (ემდ ვახტანგ ბურდული, აკად. დოქტორი თენგიზ ქავთარაძე)	100
ეკოლოგიური კოლიფიკა და ტურიზმის განვითარება	
ეკოლოგიური კოლიფიკა (აკად. დოქტორი მამუკა ხუსკივაძე)	104
ტურიზმის განვითარება (აკად. დოქტორი ქეთიონ ქველაძე)	106
ეკონომიკის საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის შესახებ (ემდ ვ. ბურდული)	108